საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგია

2016 20

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი
განვითარების სამინისტრო

სამოქმედო გეგმის
წლიური ანგარიში
2018

საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგია 2016 20 20

სამოქმედო გეგმის

წლიური ანგარიში

2018

სარჩევი

შესავალი 4

რეზიუმე 4

სამოქმედო გეგმით 2018 წელს განსაზღვრულ აქტივობათა შესრულების მონიტორინგი 7

I. პირველი სტრატეგიული მიმართულება: სამართლებრივი, ინსტიტუციური და სამეწარმეო გარემოს გაუმჯობესება 8

II. მეორე სტრატეგიული მიმართულება: ფინანსებზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება 18

III. მესამე სტრატეგიული მიმართულება: კონკურენტუნარიანი ადამიანური კაპიტალის, სამეწარმეო უნარების და თანამედროვე სამეწარმეო კულტურის განვითარება 23

IV.მეოთხე სტრატეგიული მიმართულება: ექსპორტის ხელშეწყობა და მცირე და საშუალო საწარმოთა ინტერნაციონალიზაცია 36

V.მეხუთე სტრატეგიული მიმართულება: ინოვაციების და კვლევისა და განვითარების (R&D) მხარდაჭერა 46

სამოქმედო გეგმით 2018 წლისთვის ნაკისრი ვალდებულებების შესრულება 49

დასკვნა 49

რეკომენდაციები 51

შესავალი

ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ძირითად პრინციპს კერძო სექტორის განვითარება და ხელშეწყობა წარმოადგენს და შესაბამისად, საქართველოს მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკა სწორედ კერძო სექტორის კონკურენტუნარიანობას მიიჩნევს ეკონომიკის განვითარების უმნიშვნელოვანეს მამოძრავებელ ძალად.

სამეწარმეო სექტორი, განსაკუთრებით მცირე და საშუალო საწარმოები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ეკონომიკის განვითარებაში და საგრძნობი წვლილი შეაქვთ მდგრადი და ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფაში. მცირე და საშუალო საწარმოები, დასაქმების ზრდისა და სამუშაო ადგილების შექმნის პოტენციალით, ასევე, ეკონომიკის განვითარებასა და ზრდაში შეტანილი წვლილის გათვალისწინებით, ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკის ქვაკუთხედად მიიჩნევა. ძლიერი და კარგად განვითარებული მცირე და საშუალო მეწარმეობის სექტორი მნიშვნელოვნად უწყობს ხელს ექსპორტის ზრდას, ინოვაციების განვითარებას, თანამედროვე სამეწარმეო კულტურის შექმნას და ამავე დროს, განსაკუთრებულ როლს ასრულებს ქვეყნის კეთილდღეობის დონის ამაღლებაში.

საქართველოს მთავრობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოწვევას მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარება და ხელშეწყობა წარმოადგენს, შესაბამისად ერთიანი მხარდამჭერი პოლიტიკის და შესაბამისი სტრატეგიის არსებობა ხელს უწყობს ქვეყანაში კერძო სექტორის კონკურენტუნარიანობის გაძლიერებას, როგორც შიდა, ისე გარე ბაზრებზე, რაც ეფუძნება ადამიანური კაპიტალის განვითარებას, სამეწარმეო კულტურის ჩამოყალიბებას, ფინანსურ რესურსებზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებას, ინოვაციებისა და კვლევების განვითარებას და სხვ., ყოველივე აღნიშნული კი ეკონომიკის წარმატებული ფუნქციონირების აუცილებელი პირობაა.

რეზიუმე

საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგია (2016-2020 წლებისთვის) და შესაბამისი სამოქმედო გეგმა, რომელიც შემუშავდა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს კოორდინაციით, ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციასთან (OECD) მჭიდრო თანამშრომლობით და GIZ-ის მხარდაჭერით, დამტკიცებულ იქნა 2016 წლის 26 თებერვალს საქართველოს მთავრობის დადგენილებით (საქართველოს მთავრობის დადგენილება N100; 26.02.2016). სტრატეგიის პროექტი წარმატებით შეფასდა OECD-ის ევრაზიის კვირეულის ფარგლებში ჩატარებული ევრაზიის კონკურენტუნარიანობის მრგვალი მაგიდის ფორმატში (2015 წლის 25 ნოემბერი).

სტრატეგიაში გათვალისწინებულია ევროპული მცირე ბიზნესის აქტის ძირითადი პრინციპები და ევროკავშირის ქვეყნების საუკეთესო პრაქტიკა მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების პოლიტიკის კუთხით. სტრატეგია მოიცავს შემდეგ **5 ძირითად - სტრატეგიულ მიმართულებას** და მათი განხორციელების შესაბამის პრიორიტეტულ ღონისძიებებს.

სტრატეგიული მიმართულებები:

I *საკანონმდებლო, ინსტიტუციური ბიზნეს გარემოს შემდგომი გაუმჯობესება*

II *ფინანსებზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება*

III *კონკურენტუნარიანი ადამიანური კაპიტალის, სამეწარმეო უნარების და თანამედროვე სამეწარმეო კულტურის განვითარება*

IV *ექსპორტის წახალისება და მცირე და საშუალო ბიზნესის ინტერნაციონალიზაცია*

V *ინოვაციების და კვლევისა და განვითარების (R&D) მხარდაჭერა*

მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგიის სამოქმედო გეგმის თანახმად, თითოეული სტრატეგიული მიმართულება მოიცავს დეტალურ ქმედებებს, რომელთა განხორციელება მნიშვნელოვანია განსაზღვრული პრიორიტეტული ღონისძიებების შესასრულებლად და შესაბამისად, თითოეული სტრატეგიული მიმართულებებით დასახული მიზნების მისაღწევად. კერძოდ, **სამოქმედო გეგმა 2018 წელს ითვალისწინებს 5 სტრატეგიული მიმართულების ფარგლებში 32 პრიორიტეტული ღონისძიების და 100 ქმედების განხორციელებას**. მათ შორის:

- ✓ პირველი სტრატეგიული მიმართულება მოიცავს 6 პრიორიტეტულ ღონისძიებას და 20 ქმედებას.
- ✓ მეორე სტრატეგიული მიმართულება მოიცავს 5 პრიორიტეტულ ღონისძიებას და 13 ქმედებას.
- ✓ მესამე სტრატეგიული მიმართულება მოიცავს 10 პრიორიტეტულ ღონისძიებას და 27 ქმედებას.
- ✓ მეოთხე სტრატეგიული მიმართულება მოიცავს 6 პრიორიტეტულ ღონისძიებას და 33 ქმედებას.
- ✓ მეხუთე სტრატეგიული მიმართულება მოიცავს 5 პრიორიტეტულ ღონისძიებას და 7 ქმედებას.

მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგიის ეფექტიანი იმპლემენტაციის მიზნები *(2020 წლისთვის მცირე და საშუალო საწარმოების გამოშვების ზრდა წლიურად საშუალოდ 10%-ით; 2020 წლისთვის მცირე და საშუალო საწარმოებში დასაქმებულთა ზრდა 15%-ით; 2020 წლისთვის მწარმოებლურობის ზრდა 7%-ით, (საბაზისო - 2013 წელი)),* „საქსტატის“ მონაცემების თანახმად, ამ ეტაპისთვის **წარმატებით სრულდება.** კერძოდ,

- ✓ 2014-2017 წლებში მცირე და საშუალო საწარმოების გამოშვების საშუალო წლიური ზრდა 14.4%-ია;
- ✓ 2017 წ. მცირე და საშუალო საწარმოებში დასაქმებულთა ზრდა 27.4%-ია.
- ✓ 2017 წ. მწარმოებლურობის ზრდამ 11.1% შეადგინა.

სამოქმედო გეგმით 2018 წელს განსაზღვრულ აქტივობათა შესრულების მონიტორინგი

მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგიის (2016-2020 წწ) და შესაბამისი სამოქმედო გეგმის მიღების შემდეგ, მისი შესრულების მონიტორინგის განხორციელების მიზნით საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის ბრძანებით შეიქმნა მაღალი დონის **საკოორდინაციო ჯგუფი** (მინისტრის ხელმძღვანელობით) და შესაბამისი **სამუშაო ჯგუფი** (მინისტრის მოადგილის ხელმძღვანელობით) (საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის ბრძანება N1-1/372, 11.07.2016 წ.).

სამინისტროს ეკონომიკური პოლიტიკის დეპარტამენტის მიერ შემუშავდა სპეციალური ფორმა, რომლის შესაბამისად ხორციელდება სამოქმედო გეგმით განსაზღვრული აქტივობების განხორციელების მონიტორინგი, შეფასება და შესაბამისი ანგარიშის მომზადება.

საქართველოს მთავრობის დადგენილება №628 (დადგენილება N628; 30.12.2016), რომელიც ეხება მთავრობის საქმიანობის მონიტორინგს, ანგარიშგებისა და შეფასების სისტემების დამტკიცებას, ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების სისტემაში ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვან ელემენტს - შესრულების ინდიკატორს.

ზემოაღნიშნულის შესაბამისად, მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგიის სამოქმედო გეგმა მოიცავს შესაბამის შესრულების ინდიკატორებს, რომელიც არის ერთგვარი საზომი, რომლის საშუალებითაც ფასდება მიღწეულია თუ არა მიზანი, ან, ზოგიერთ შემთხვევაში, შესრულებულია თუ არა ქმედება. შესრულების ინდიკატორი რაოდენობრივ ინსტრუმენტს წარმოადგენს და ინდიკატორით ფასდება ამოცანის შესრულება ან ღონისძიების ხარისხი. სტრატეგიის სამოქმედო გეგმა მოიცავს ჯამში - 91 ინდიკატორს. სტრატეგიული მიმართულებების მიხედვით ინდიკატორები შემდეგნაირად ნაწილდება:

- ✓ პირველი სტრატეგიული მიმართულება - 20 ინდიკატორი;
- ✓ მეორე სტრატეგიული მიმართულება - 13 ინდიკატორი;
- ✓ მესამე სტრატეგიული მიმართულება - 27 ინდიკატორი;
- ✓ მეოთხე სტრატეგიული მიმართულება - 21 ინდიკატორი;
- ✓ მეხუთე სტრატეგიული მიმართულება - 10 ინდიკატორი.

მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგიის სამოქმედო გეგმის 2018 წლის ქმედებები გაწერილია თითოეული სტრატეგიული მიმართულების პრიორიტეტულ ღონისძიებებში და მდგომარეობს შემდეგში:

I. პირველი სტრატეგიული მიმართულება: სამართლებრივი, ინსტიტუციური და სამეწარმეო გარემოს გაუმჯობესება

პირველი პრიორიტეტული ღონისძიება

- ბიზნესის დახურვის და გადახდისუუნარობის პროცედურების გაუმჯობესება

პირველი პრიორიტეტული ღონისძიების ფარგლებში ერთ-ერთ მნიშვნელოვან ქმედებას წარმოადგენს **სამართლებრივი ჩარჩოს გაუმჯობესებისთვის ახალი კანონის პროექტის შემუშავება/დახვეწა**. აღნიშნულიდან გამომდინარე, გადახდისუუნარობის პროცედურების გაუმჯობესების მიზნით დღეის მდგომარეობით, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოებასთან (GIZ) პარტნიორობით, შემუშავებულია „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტი. აღნიშნულ კანონპროექტზე წარიმართა **საჯარო განხილვები**. გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოებასთან (GIZ) თანამშრომლობის ფარგლებში, კანონის პროექტზე მომზადდა **რეგულირების ზეგავლენის შეფასების ანგარიში**. „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტი განსახილველად წარედგინება საქართველოს მთავრობას და პარლამენტს.

აღნიშნული პრიორიტეტული ღონისძიება, ასევე, ითვალისწინებს **„ბიზნეს სახლის“ მიერ მისაწოდებელი სერვისების აღწერას** და **მისაწოდებელი სერვისების დიგიტალიზაციას**.

მთავრობის განკარგულებით, აღნიშნულ ღონისძიებას კოორდინაციას უწევს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, “ბიზნეს სახლის“ პროექტის აღმასრულებელი გუნდი, რომელიც აქტიურად თანამშრომლობს სსიპ „მონაცემთა გაცვლის სააგენტოსთან“ და შესაბამისი სერვისების მფლობელ სამინისტროებთან/სააგენტოებთან. აღნიშნული აქტივობების ფარგლებში მხარდაჭერას ახორციელებენ საერთაშორისო დონორები UNDP, G4G და ა.შ.

აღნიშნულთან მიმართებით განხორციელდა სახელმწიფო სერვისების აღწერა-ანალიზი-ინტეგრაცია და ვებ-პორტალზე აწყობა. საანგარიშო პერიოდში უკვე დამუშავებულია სხვადასხვა სახელმწიფო სტრუქტურის 50-ზე მეტი სახელმწიფო სერვისი. კერძოდ,

აღწერილია სსიპ „აწარმოე საქართველოში“ - 5, სამეწარმეო რეესტრის - 21, სსიპ „სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტოს“ - 14, სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს“ - 7, ბიზნეს ომბუდსმენის - 1 , სსიპ სტარტUP საქართველოს - 1, და საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს - 4 სერვისი.

ამასთანავე განხორციელდა აღნიშნული სააგენტოების სერვისების დანერგვა და ერთიან ვებ პორტალზე ბიზნეს სექტორისათვის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.

მომხმარებლის მეტი კომფორტისათვის (ე.წ. “user friendly”) განხორციელდა:

- პროფილების გადართვა (მომხმარებლისთვის თავის პროფილში ხედავს ყველა იმ საწარმოს, სადაც მონაწილეობს და აქვს შესაძლებლობა (უფლებამოსილების ფარგლებში) საწარმოს სახელით ან/და როგორც ფიზიკურმა პირმა მიმართოს სახელმწიფოს);
- მინდობილობების ხედვა (თუ მომხმარებელზე რომელიმე საწარმოს დირექტორი მოახდენს მინდობილობით უფლებების მინიჭებას, ამ საწარმოსაც დაინახავს თავის პროფილიდან);
- სერვისების ფილტრაცია უფლებების მიხედვით (სერვისებზე წვდომა იმის და მიხედვით, იმ მომენტში მოქმედებს როგორც ფიზიკური პირი, თუ საწარმოს წარმომადგენელი);
- კომუნიკაციის არხი საჯარო უწყებებთან - მომხმარებელს საშუალება აქვს ნებისმიერ სახელმწიფო სტრუქტურას მიმართოს ელექტრონული წერილით (მათ შორის მუნიციპალიტეტებს);
- ციფრული ხელმოწერა და ციფრული შტამპის ელექტრონულად გამოყენების შესაძლებლობა, რის შემთხვევაში აღარ დასჭირდება მატერიალური სახით წარდგენა;
- Once Only სერვისი, რაც გულისხმობს იმას, რომ თუ უკვე სარგებლობს სხვა სახელმწიფო სერვისით და ციფრულ ფორმატში არსებობს, მაგ: ნებართვა, ამონაწერი, ცნობა, ტექ.პასპორტი და ა.შ. ამ შემთვევაში აღარ დასჭიდება წარდგენა, არამედ სისტემა გამოიძახებს სერვისს.

სახელმწიფო სერვისების დიგიტალიზაციის პროექტის ფარგლებში აქტიურად მიმდინარეობს მუშაობა სსიპ „საჯარო რეესტრის (სამეწარმეო რეესტრის) ეროვნული სააგენტოს“ სერვისების განვითარებაზე, კერძოდ UNDP-ის მხარდაჭერით განხორციელდა „ონლაინ“ ბიზნეს რეგისტრაციებთან/ცვლილებებთან დაკავშირებით 21 სერვისის აღწერა-ანალიზი და დიგიტალიზაციის პროცესი, რაც მნიშვნელოვნად გაამარტივებს/შესაძლებელს გახდის ბიზნესმა დაზოგოს დრო და მოთხოვნა დააფიქსიროს ელექტრონულად. აღსანიშნავია, რომ აღნიშნულ 21 სერვისში ბოლო ე.წ. ელექტრონული კრებების სერვისი სრულიად ახალია.

მეორე პრიორიტეტული ღონისძიება

- **მცირე და საშუალო საწარმოთა განახლებული მეთოდოლოგიით წარმოებული სტატისტიკის გაფართოება**

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ, მცირე და საშუალო საწარმოთა განახლებული მეთოდოლოგიით წარმოებული სტატისტიკის გაფართოების მიზნით, **განხორციელდა მცირე და საშუალო საწარმოთა განსაზღვრის ძველი მეთოდოლოგიით გაანგარიშებული სტატისტიკის გადაანგარიშება განახლებული მეთოდოლოგიით**, კერძოდ გადაანგარიშებულია მთლიანი დროითი მწკრივი (1999 წლიდან).

მესამე პრიორიტეტული ღონისძიება

- **საწარმოთა სტატისტიკის გაუმჯობესება**

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ განხორციელდა **ეკონომიკური საქმიანობის სახეების საერთაშორისო კლასიფიკატორის (NACE Rev.2) სრულად ასახვა ბიზნეს რეგისტრში.** NACE Rev 2-ის მიხედვით გადაანგარიშებულ იქნა მთლიანი დროითი მწკრივის მონაცემები (2006 წლამდე).

განხორციელდა ქმედებები, რომლის შედეგად გაფართოვდა საწარმოთა სტატისტიკის არეალი და დაინერგა შესაბამისი კვლევები. კერძოდ, დაინერგა **საფინანსო საქმიანობით დაკავებული საწარმოების გამოკვლევები, რომლის შედეგები გამოქვეყნებულია** და გამოკვლევა ტარდება წლიური პერიოდულობით.

მეოთხე პრიორიტეტული ღონისძიება

- **მცირე და საშუალო მეწარმეობის მხარდამჭერი ინსტიტუტების გაძლიერება**

აღნიშნულ ღონისძიებას ახორციელებს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო მის სისტემაში შემავალ სააგენტოებთან - სსიპ „საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო“ და სსიპ „აწარმოე საქართველოში“ - მჭიდრო თანამშრომლობით. მცირე და საშუალო მეწარმეობის მხარდამჭერი ინსტიტუტების შესაძლებლობათა გაძლიერების მიზნით, სააგენტოების მიერ განხორციელდა შესაბამის ინსტიტუციათა თანამშრომლების დატრენინგება. კერძოდ, 2018 წლის განმავლობაში დატრენინგდა სსიპ „საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს“ თანამშრომელთა 50%-ზე მეტი და სსიპ „აწარმოე

საქართველოში“ სააგენტოს თანამშრომლების 80%-ზე მეტი. გარდა ამისა, **მცირე და საშუალო მეწარმეობის მხარდამჭერი ინსტიტუტების შესაძლებლობათა გაძლიერების (capacity building)** მიზნით, გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) ორგანიზებით, კლასტერების განვითარებასთან და შესაბამისი პოლიტიკის შემუშავებასთან დაკავშირებული საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გაცნობის მიზნით, განხორციელდა სასწავლო ტური ლატვიასა და ესტონეთში. ვიზიტის ფარგლებში მოეწყო შეხვედრები ადგილობრივი ICT კლასტერის წარმომადგენლებთან, სადაც მიწვეულები იყვნენ ქართული IT კომპანიების წარმომადგენლები სსიპ „საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების საგენტოს“ და სსიპ „აწარმოე საქართველოში“ წარმომადგენლებთან ერთად. შეხვედრების მიზანი იყო ადგილობრივი გამოცდილების გაზიარება და ევროკავშირის პროგრამების გაცნობა საქართველოში პირველი IT კლასტერის შექმნის მიზნით, რომელიც ორიენტირებული იქნება ქართული კომპანიების საერთაშორისო ბაზრებზე გაყვანით. აღსანიშნავია, რომ აღნიშნულ შეხვედრებში მონაწილეობით სააგენტოს წარმომადგენლებმა აიმაღლეს კვალიფიკაცია კლასტერების განვითარების და შესაბამისი პოლიტიკის შემუშავების თვალსაზრისით.

მცირე და საშუალო მეწარმეობის ინსტიტუციური გაძლიერების მიზნით, საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატა ახორციელებს **ბიზნეს ასოციაციების შექმნის ხელშეწყობას**. საანგარიშო პერიოდში პალატის ხელშეწყობით დაფუძნდა ორი ასოციაცია: დასავლეთ საქართველოს მეფუტკრეთა ალიანსი და კივის მწარმოებელთა ასოციაცია. საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატა ახორციელებს შესაბამის პროცედურებს შესაფუთი მასალების მწარმოებელი საწარმოების ასოციაციის შექმნის მიზნით. ასოციაციის დაფუძნება ხორციელდება ბრიტანეთის კარგი მმართველობის ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში, რომელსაც პალატა ახორციელებს PWC-თან თანამშრომლობით და რომლის მიზანსაც წარმოადგენს საქართველოში მცირე და საშუალო საწარმოების შესაბამისობის უზრუნველყოფა ევროპულ სტანდარტებთან.

საერთაშორისო გამოცდილების და პრაქტიკის შესწავლისა და ანალიზის მიზნით, სსიპ „საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს“ მიერ განხორციელდა ინოვაციების, ტექნოლოგიების, ბიზნეს ინკუბატორების/აქსელერატორების, ინოვაციების ინფრასტრუქტურისა და სხვა თემებზე შემდეგი ქვეყნების გამოცდილების შესწავლა - დიდი ბრიტანეთი, აშშ, ბელარუსია, რუმინეთი, ისრაელი, ავსტრია, სომხეთი, აზერბაიჯანი, სლოვაკეთი, ბულგარეთი, საფრანგეთი, კორეა, გერმანია, ესპანეთი, პოლონეთი, ჩინეთი, სინგაპური. ამასთან, MIT-ის სტუდენტებმა გაუზიარეს თავიანთი ცოდნა და გამოცდილება Lego robotics, Little bits, Arduino-ს მიმართულებით ქართველ ტრენერებს. აღსანიშნავია ასევე, რომ სსიპ „აწარმოე საქართველოში“ სააგენტოს წარმომადგენლებს მიზნობრივი შეხვედრები ჰქონდათ ნიდერლანდების სამეწარმეო

სააგენტოს წარმომადგენელთან საერთაშორისო გამოცდილებისა და პრაქტიკის გაზიარების მიზნით.

სახელმწიფო პროგრამა „აწარმოე საქართველოში“ შედეგების შეფასება/კვლევის ღონისძიების ფარგლებში შემუშავდა ტექნიკური დავალება სახელმწიფო პროგრამის „აწარმოე საქართველოში“, ინდუსტრიული ნაწილის ტექნიკური მხარდაჭერის და ფინანსებზე ხელმისაწვდომობის კომპონენტების შედეგების შეფასების კვლევისთვის, რომელიც ღია ტენდერის საფუძველზე, დამოუკიდებელი კველევითი/საკონსულტაციო ორგანიზაციის შპს BDO-ს მიერ განხორციელდა. აღნიშნული კვლევის მიზანი იყო პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ ინდუსტრიული ნაწილის ტექნიკური მხარდაჭერის და ფინანსებზე ხელმისაწვდომობის კომპონენტების ეფექტიანობის გამოვლენა. კერძოდ, აღნიშნული პროგრამის ბენეფიციარების მიერ მიღწეული შედეგების შეფასება პროექტში ჩართვის შემდეგ, ასევე, პროექტის პირდაპირი და ირიბი ეკონომიკური ეფექტის გამოვლენა, როგორც პროექტში მონაწილე ბენეფიციარებზე, ისე სხვადასხვა ინდუსტრიებსა და მთლიანად ეკონომიკაზე. კვლევა განხორციელდა ორ დონეზე: მიკრო - რაც გულისხმობს ბენეფიციარის დეტალურ ეკონომიკურ და ფინანსურ ანალიზს, საწარმოს სიცოცხლისუნარიანობის დასადგენად და მაკრო დონეზე - პროგრამის პირდაპირი და ირიბი შედეგების შეფასებას მთლიან ეკონომიკურ ჭრილში. შედეგების შეფასება მოხდა იმ ბენეფიციარების მონაცემებზე დაყრდნობით, რომლებსაც სააგენტოსთან თანადაფინანსების შესახებ ხელშეკრულების გაფორმებიდან გასული აქვთ 2 წელი ან მეტი პერიოდი, რათა შესაძლებელი ყოფილიყო მათი ეკონომიკური მაჩვენებლების შეფასება (100 შესაფასებელი კომპანია). აღნიშნული კვლევა, რომელშიც შედეგების შეფასება წარმოდგენილია მიკრო და მაკრო დონეზე, სააგენტომ ჩაიბარა 2018 წლის დეკემბერში.

მცირე და საშუალო მეწარმეობის საჭიროებებზე მორგებული სერვისების შეთავაზების მიმართულებით სსიპ „აწარმოე საქართველოში“ სააგენტოს მიერ მომზადდა მიკრო და მცირე ბიზნესის ხელშეწყობის კომპონენტის მარეგულირებელი მთავრობის დადგენილების შესაბამისი ცვლილება. ასევე, განისაზღვრა პრიორიტეტები: ინტელექტუალური სერვისები, ქალი მეწარმე, სტარტაპი, სოფლად განხორციელებული ბიზნესი.

სსიპ „ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს“ მიერ განხორციელდა მცირე და საშუალო მეწარმეთა საჭიროებებზე მორგებული სერვისების შეთავაზება. კერძოდ, მოეწყო ინფრასტრუქტურა ინოვაციებისთვის, 3 ტექნოპარკი - თბილისში, ზუგდიდსა და თელავში. გაიზარდა ფაბლაბების დანადგარებზე წვდომა. განხორციელდა ინოვაციების და მეწარმეობის ტექნიკური მხარდაჭერა, ხოლო ფინანსებზე წვდომის კომპონენტის ფარგლებში გაიცა მინი და წილობრივი გრანტები.

სააგენტოს მიერ მოეწყო ყოველთვიური შეხვედრები სტარტაპ ბითსის ფარგლებში, სადაც წარმატებული ენტერპრინორები თავიანთ გამოცდილებას უზიარებენ დამწყებ სტარტაპერებს. აღნიშნული ხელს უწყობს როგორც გამოცდილების გაზიარებას, ასევე, სტარტაპ საზოგადოების ჩამოყალიბებას.

საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატამ მცირე და საშუალო საწარმოების მხარდაჭერის მიზნით, დაიწყო შემდეგი სერვისების განხორციელება, კერძოდ, სერვისი მოიძიე პარტნიორი, რომელიც ხელს უწყობს ქართველ მეწარმეებს მოიძიონ პარტნიორი საზღვარგარეთ და ასევე, სერვისი, რომელიც გულისხმობს EEN ევროპის მეწარმეთა ქსელში ქართველ მეწარმეთა შეთავაზებების განთავსებას. წლის განმავლობაში პალატის მიერ მომზადდა და EEN-ს მიეწოდა 6 განაცხადი. მიმდინარე წლის აპრილის თვეში EEN-ის პლატფორმის ფარგლებში გაიმართა საქართველო-პოლონეთის მეწარმეების ფორუმი, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 12 პოლონურმა და 70-ზე მეტმა ქართულმა კომპანიამ. უნდა აღინიშნოს, რომ EEN-ის ქსელის ოპერირების გაუმჯობესების მიზნით მიმდინარეობს აქტიური მუშაობა EEN-ის ცენტრალურ ოფისთან, იმისათვის რომ მოეწყოს დამატებითი ტრენინგები როგორც პალატის, ასევე, სსიპ - აწარმოე საქართველოში და სსიპ - საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების განვითარების სააგენტოს თანამშრომლებისათვის. პალატა, ასევე, აქტიურადაა ჩართული სხვადასხვა ქვეყნების შესაბამის ორგანოებთან და საელჩოებთან თანამშრომლობით ბიზნეს-ფორუმების ორგანიზების პროცესში, რაც ხელს უწყობს ქართული საწარმოების ინტერნაციონალიზაციას. 2018 წლის განმავლობაში გაიმართა 16-ზე მეტი ბიზნეს - ფორუმი, რომელშიც მონაწილება მიიღო დაახლოებით 1000-მა კომპანიამ, ასევე, აღსანიშნავია, რომ ფორუმების ფარგლებში გაიმართა 200-ზე მეტი B2B შეხვედრა.

საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის მიერ, PWC-ის მხარდაჭერით და ბრიტანეთის კარგი მმართველობის ფონდის დაფინანსებით, განხორციელებული პროექტის „მცირე და საშუალო საწარმოების შესაბამისობის პროგრამა DCFTA-თან“ ფარგლებში შესაფუთი მასალების მწარმოებელი კომპანიების მიერ მომზადდა ტექნიკური სახელმძღვანელოები, რომელიც საშუალებას აძლევს მეწარმეებს მოახდინონ თვითსერტიფიცირება. დოკუმენტები, ასევე, შესაძლებელია გამოყენებულ იქნას საწარმოებში ევროპული სტანდარტების დანერგვისათვის. 2018 წელს დაიწყო პროექტის მეორე ფაზა, რომლის ფარგლებშიც დაიხვეწა ტექნიკური ფაილები, რომელიც ინერგება რამდენიმე საწარმოში. ასევე მუშავდება მცირე და საშუალო საწარმოების შესაბამისობის პროგრამის კომუნიკაციის სტრატეგია შესაბამის სამოქმედო გეგმასთან ერთად, რომელიც ითვალისწინებს მიდგომებს სხვა სექტორებში შემავალი მცირე და საშუალო საწარმოებისათვის შესაფუთი მასალების მწარმოებელი ორგანიზაციების გამოცდილების გაზიარებასთან მიმართებით.

მცირე და საშუალო საწარმოთა მხარდამჭერ ინსტიტუტებს შორის თანამშრომლობის გაღრმავების მიზნით საანგარიშო პერიოდში მემორანდუმი გაფორმდა ბიზნეს-ომბუდსმენსა და საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატას შორის, დოკუმენტის მიზანი მხარეებს შორის თანამშრობლობის გაღრმავება და პალატის წარმომადგენლების დახმარებით რეგიონებში მოქმედ ბიზნეს-სუბიექტებსა და ბიზნეს-ომბუდსმენს შორის აქტიური კომუნიკაციის ხელშეწყობაა.

საანგარიშო პერიოდში, ასევე, მომზადდა ორი მემორანდუმის პროექტი, სავაჭრო-სამრეწველო პალატის და სსიპ - საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნულ სააგენტოსთან და სსიპ - აკრედიტაციის ერთიან ეროვნულ ორგანოს - აკრედიტაციის ცენტრთან თანამშრომლობის შესახებ. მემორანდუმის საფუძველზე პალატა კიდევ უფრო აქტიურად და ინტენსიურად მიაწვდის ინფორმაციას ქართველ მეწარმეებს ევროპული და საერთაშორისო სტანდარტებისა და საერთაშორისოდ აღიარებული სერტიფიკატებზე ხელმისაწვდომობის შესახებ.

მეხუთე პრიორიტეტული ღონისძიება

- საჯარო და კერძო სექტორს შორის დიალოგის გაძლიერება

საჯარო და კერძო სექტორს შორის დიალოგის გაძლიერების მიმართულებით საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ ყოველკვარტალურად ჩატარდა კერძო სექტორის განვითარების ხელშეწყობის საკონსულტაციო საბჭოს სხდომები, სადაც მონაწილეობა მიიღო საჯარო და კერძო სექტორის წარმომადგენლებმა. სხდომების ფარგლებში, კერძო სექტორს წარედგინა და შესაბამისი დისკუსიები შედგა მიმდინარე და დაგეგმილ რეფორმებზე. ასევე შედგა მსჯელობა კერძო სექტორის მიერ დასმულ საკითხებთან მიმართებით.

საჯარო და კერძო სექტორს შორის დიალოგის გაძლიერების ფარგლებში, მიმდინარე წლის ივლისის თვეში პალატის ინიციატივით ქუთაისში მოეწყო დასავლეთ საქართველოს მეწარმეებთან შეხვედრა სახელწოდებით „ღია დიალოგი ბიზნესთან“. ღონისძიების ფარგლებში საქართველოს ფინანსთა და ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრებმა, სხვადასხვა სახელმწიფო ორგანოების წარმომადგენლებთან ერთად დასავლეთ საქართველოს 300-ზე მეტ მეწარმეს მიაწოდეს ინფორმაცია ახალი საგადასახადო რეგულაციების შესახებ.

საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატამ საჯარო-კერძო პარტნიორობის ფორმატის ხელშეწყობის მიზნით ბიზნესომბუდსმენის წარმომადგენლებთან ერთად გამართა შეხვედრები მეწარმეებთან. შეხვედრები გაიმართა როგორც თბილისში, ასევე, რეგიონებში. სულ გაიმართა 8 შეხვედრა (თბილისი, გორი, ქუთაისი, ზუგდიდი,

ოზურგეთი, ბათუმი, თელავი, ახალციხე), რომლებშიც მონაწილეობა მიიღო რეგიონული ბიზნესის 400-მდე მეწარმემ.

ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშგების და აუდიტის სამსახურისა და სავაჭრო-სამრეწველო პალატის თანამშრომლობით მოეწყო 5 კერძო-საჯარო დიალოგის ფორმატის შეხვედრა თბილისსა და რეგიონებში, რომელშიც მონაწილება მიიღო 400-ზე მეტმა მეწარმემ.

2018 წლის აპრილი - ოქტომბრის პერიოდში პალატამ USAID-ის პროექტის „მმართველობა განვითარებისთვის“ დაფინანსებით სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოსთან ერთად განახორციელა პროექტი სახელმწიფო შესყიდვების რეგიონული ტრენინგები და ცნობადობის ამაღლება, პროექტის ფარგლებში გაიმართა კერძო საჯარო დიალოგი სახელმწიფო შესყიდვების თემაზე საქართველოს 5 ქალაქში (ბათუმი, ზუგდიდი, ქუთაისი, გორი, თელავი), რომელსაც დაესწრო 200-ზე მეტი მეწარმე.

საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატამ საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდის მიერ მხარდაჭერილი პროექტის ფარგლებში განახორციელა საინფორმაციო შეხვედრა პროექტ „დუალური პროფესიული განათლების საკოორდინაციო საბჭოს“ ფარგლებში საქართველოს რეგიონებსა და თბილისში. ჯამში გაიმართა 19 საინფორმაციო შეხვედრა, სადაც მონაწილეობა 650-მდე წარმომადგენელმა მიიღო. პროექტის მიზანია დუალური პროფესიული განათლების დანერგვის ხელშეწყობა და მისი პოპულარიზაცია საქართველოში. უნდა აღინიშნოს, რომ პროექტის მეორე ეტაპის ფარგლებში პალატასთან შეიქმნა დუალური პროფესიული განათლების საკონსულტაციო საბჭო, რომლის შემადგენლობაში შედიან როგორც სახელმწიფო უწყებების, ისე კერძო სექტორის წარმომადგენლები. საბჭო წარმოადგენს საჯარო და კერძო სექტორის დიალოგის ინსტიტუციურ პლატფორმას, რომლის მიზანია პროფესიული განათლების სისტემის შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლება.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ გაიმართა **ვაჭრობის საკითხებზე მომუშავე საკონსულტაციო საბჭოს** და **DCFTA-ის საკონსულტაციო საბჭოს შეხვედრები,** რომელთა თემატიკის განსაზღვრა განხორციელდა კერძო სექტორთან შეთანხმებით. ამასთან, სამინისტროს ორგანიზებით 2018 წლის 4 ოქტომბერს გამართულ DCFTA-ის საკონსულტაციო ჯგუფის მეექვსე შეხვედრაზე ახალ თავმჯდომარედ არჩეულ იქნა საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის პრეზიდენტი. შეხვედრაზე განხილულ იქნა სამშენებლო პროდუქტების შესახებ ტექნიკური რეგლამენტი, ასევე 2018 წლის განმავლობაში DCFTA-ის ფარგლებში განხორციელებული საქმიანობა და DCFTA-ს სფეროში უახლესი მიღწევები.

მეექვსე პრიორიტეტული ღონისძიება

- **პრიორიტეტული ეკონომიკური კანონმდებლობისთვის რეგულირების გავლენის შეფასების RIA-ს სისტემის შექმნა**

ღონისძიების ფარგლებში განხორციელდა **RIA-ს იმპლემენტაციის პროცესის ანალიზი,** შემუშავებულია **RIA-ს ინსტიტუციური მექანიზმი** და მომზადებულია საკანონმდებლო ჩარჩო დოკუმენტი საქართველოს მთავრობის მიერ. ასევე, შემუშავებულია რეგულირების ზეგავლენის შეფასების კონცეფციის დოკუმენტი და ხარჯისა და სარგებლის ანალიზის ტექნიკური სახელმძღვანელო.

RIA-ს სისტემის ინსტიტუციონალიზაციის პროცესში, საქართველოს მთავრობის პარტნიორების - ევროკავშირის, გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ), მმართველობა განვითარებისათვის (G4G) და USAID-ის მხარდაჭერით, ჩატარდა **საჯარო მოხელეთა ტრენინგები RIA-ს შესახებ**, მათ შორის განხორციელდა **ცნობიერებისა და ცოდნის ამაღლება RIA SME Test-ზე მიმართებით**.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ, თანამშრომელთა ცნობიერების და ცოდნის ამაღლების მიზნით, ჩატარდა შიდა ტრენინგი რეგულირების ზეგავლენის შეფასების საკითხებზე (RIA).

მონიტორინგისა და შეფასების შედეგები

პირველი სტრატეგიული მიმართულება მოიცავს 2018 წელს განსახორციელებელ 6 პრიორიტეტულ ღონისძიებას და 20 ქმედებას, რომლებიც სრულად შესრულებულია.

2018 წელს შესრულდა, პირველი სტრატეგიული მიმართულების, შესაბამისი „შესრულების ინდიკატორები“, კერძოდ:

- ✓ გადახდისუუნარობის შესახებ შემუშავდა ახალი კანონის პროექტი;
- ✓ კანონის პროექტზე ჩატარდა RIA;
- ✓ კანონის პროექტზე ჩატარდა საჯარო-კერძო განხილვები;
- ✓ აღწერილია „ბიზნეს სახლის“ მიერ მისაწოდებელი სერვისები;
- ✓ დიგიტალიზებულია „ბიზნეს სახლის“ მიერ მისაწოდებელი სერვისები;
- ✓ მცირე და საშუალო საწარმოთა განსაზღვრის განახლებული მეთოდოლოგიით დამუშავდა ძველი მეთოდოლოგიით გაანგარიშებული მონაცემები;
- ✓ ბიზნეს რეგისტრში სრულად ასახულია ეკონომიკური საქმიანობის სახეების საერთაშორისო კლასიფიკატორის NACE Rev.2 ვერსია;
- ✓ დაინერგა ფინანსური კორპორაციების სტატისტიკური გამოკვლევა, რომლის შედეგები ქვეყნდება წლიური პერიოდულობით;
- ✓ მცირე და საშუალო საწარმოთა ინსტიტუციების გაძლიერების მიზნით დატრეინინგებულ იქნა თანამშრომლები;

- ✓ გაიზარდა ახლადდაფუძნებული ასოციაციები;
- ✓ მეწარმეობის მხარდამჭერ ინსტიტუტებზე მიღებულია საერთაშორისო გამოცდილება;
- ✓ ჩატარდა სახელმწიფო პროგრამა „აწარმოე საქართველოში“ შედეგების შეფასება;
- ✓ შეთავაზებულ იქნა მეწარმეობის საჭიროებებზე მორგებული სერვისები;
- ✓ ჩატარდა კერძო სექტორის განვითარების ხელშეწყობის საკონსულტაციო საბჭოს შეხვედრები;
- ✓ ჩატარდა ვაჭრობის საკითხებზე მომუშავე საკონსულტაციო საბჭოს შეხვედრები;
- ✓ ჩატარდა DCFTA-ის საკონსულტაციო საბჭოს შეხვედრები;
- ✓ განხორციელდა RIA-ს იმპლემენტაციის პროცესის ანალიზი და შემუშავდა შესაბამისი რეკომენდაცია;
- ✓ RIA-ს და მათ შორის RIA SME Test-თან მიმართებით ჩატარდა ტრეინინგები და ვორკშოპები.

II. მეორე სტრატეგიული მიმართულება: ფინანსებზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება

პირველი პრიორიტეტული ღონისძიება

- ფინანსური განათლების გაუმჯობესება

მეწარმეთა ტრენინგების ორგანიზებას და მათი ფინანსური განათლების გაუმჯობესებასთან დაკავშირებულ ღონისძიებებს ახორციელებს სსიპ "აწარმოე საქართველოში" და საქართველოს ეროვნული ბანკი, ხოლო პარტნიორები არიან საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო და საქართველოს ფინანსთა სამინისტრო.

2018 წელს, სსიპ „აწარმოე საქართველოში" სააგენტოს მიერ სახელმწიფო პროგრამის მიკრო და მცირე მეწარმეობის კომპონენტის ფარგლებში ფინანსებთან დაკავშირებულ საკითხებზე ტრენინგები ჩაუტარდა 1094 ბენეფიციარს.

მიკრო და მცირე მეწარმეების ფინანსური განათლების მიმართულებით საქართველოს ეროვნულმა ბანკმა, 2018 წელს „ევროპული ფონდის სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპისათვის" განვითარების პროგრამის (EFSE DF) მხარდაჭერითა და ექსპორტის განვითარების ასოციაციის (EDA) ჩართულობით, მიკრო და მცირე მეწარმეებისთვის ფინანსური განათლების პროგრამა განავითარა. პროგრამის ფარგლებში **შემუშავდა სახელმძღვანელო** „მიკრო და მცირე ბიზნესის სახელმძღვანელო: ფინანსურ ორგანიზაციებთან ურთიერთობა და ფინანსური გადაწყვეტილებების მიღება" და შესაბამისი **ტრენინგ მოდული.** პროგრამის ფარგლებში ჩატარდა 4 ტრენინგი, ჯამში 80-მდე მიკრო და მცირე მეწარმისთვის სამცხე-ჯავახეთისა და ქვემო ქართლის რეგიონიდან. ამასთან, ჩატარდა ტრენერთა ტრენინგი (ToT), რომლის ფარგლებშიც 20-მდე მოქმედი ტრენერი გადამზადდა. აღნიშნული სახელმძღვანელო, დამხმარე სესხის კალკულატორთან და ფინანსურ უწყისებთან ერთად ყველა დაინტერესებული მხარისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის ვებგვერდზე უფასოდ არის ხელმისაწვდომი.[1] 2019 წლის განმავლობაში საქართველოს ეროვნული ბანკი გეგმავს ბენეფიციართა და ტრენერთა ტრენინგების გაგრძელებას და კერძო და საჯარო სექტორში დაინტერესებული მხარეების შესაძლებლობების ამაღლებაზე მუშაობას. გარდა ამისა, 2019 წლის განმავლობაში იგეგმება პროგრამის ფარგლებში შემუშავებული ტრენინგ-მოდულის ნაწილობრივ ინტეგრირება ექსპორტის განვითარების ასოციაციის სხვადასხვა პროექტში, მათ შორის, პროექტში „ბიზნეს დაწყება/გაფართოების

[1] https://www.nbg.gov.ge/index.php?m=706&lng=geo

საკონსულტაციო სამსახური“, რომლის სამიზნე ჯგუფსაც მცხეთა-მთიანეთის რეგიონში ტურიზმის სფეროში მოღვაწე მიკრო და მცირე მეწარმეები წარმოადგენენ. აღნიშნულ პროექტს საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი საქართველოს მთავრობის დაფინანსებითა და მსოფლიო ბანკის მხარდაჭერით რეგიონული განვითარების პროექტის (RDP3) ფარგლებში ახორციელებს.

მეორე პრიორიტეტული ღონისძიება

- **მცირე და საშუალო საწარმოთა ხელშეწყობა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (IFRS for SME) დანერგვაში**

აღნიშნული ღონისძიების განმახორციელებელია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახური, ხოლო პარტნიორია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს აკადემია.

IFRS for SME-ის ტრენინგის მოდულის თარგმნა/ რედაქტირების მიზნით ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის ინიციატივით Governing for Growth-მა (G4G) 2018 წლის თებერვალში გამოაცხადა ტენდერი. ტენდერში გამოვლინდა გამარჯვებული კომპანია - „სავი კონსალტინგი“ (Savvy consulting), რომელმაც განახორციელა სატრენინგო მოდულების თარგმნის პროცესი.

ამასთანავე განხორციელდა **IFRS for SME-ის ადგილობრივი ტრენერების შერჩევის** პროცესი, რომლის შემდგომაც დაიწყო **IFRS for SME-ის ადგილობრივი ტრენერებისთვის განკუთვნილი ტრენინგები** (TOT). ამასთანავე **იდენტიფიცირებულ იქნა IFRS for SME-ის ტრენინგის სამიზნე აუდიტორია** და ჩატარდა მათთვის **ტრენინგები** საქართველოს ფინანსთა სამინისტროს აკადემიასთან თანამშრომლობით.

მესამე პრიორიტეტული ღონისძიება

- **მცირე და საშუალო მეწარმეთა ცოდნის ამაღლება ფინანსების მოზიდვის (fund raising) საკითხებში**

სტარტაპებისთვის ფონდების მოძიების თემატიკაზე ცოდნის ამაღლების მიზნით სსიპ „საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს“ მიერ განხორციელდა არაერთი აქტივობა, კერძოდ, 2018 წლის 11 იანვარს გაიმართა შეხვედრა „Baku Business Factory“-ის ხელმძღვანელსა და ქართველ სტარტაპებს შორის; თებერვალში ებრაული საინვესტიციო კომპანიის Frank Group-ის ხელმძღვანელსა და ქართველ სტარტაპებს შორის შედგა შეხვედრა; 20 მარტს მეწარმე ქალთა კვირეულის ფარგლებში მოეწყო

შეხვედრა, სადაც ისრაელის სტარტაპ-ეკოსისტემის შემქმნელის მიერ მოხდა ისრაელის გამოცდილების გაზიარება, ეკონომიკურ ზრდაში ქალის როლის გაძლიერების მიზნით; ბელარუსული ტექნოლოგიური კომპანიის ENCATA-ს დამფუძნებლის თბილისში ვიზიტის ფარგლებში 2018 წლის 23-27 აპრილს ქართველი სტარტაპებისთვის ჩატარდა ტრენინგი საგრანტო პროექტის „თანადაფინანსების გრანტები სტარტაპებისთვის" ფარგლებში, სპეციალურად მოწვეულმა საერთაშორისო ტრენერებმა კონკურსანტები ერთი კვირის განმავლობაში გადაამზადეს ფინალური ეტაპისთვის - საერთაშორისო საინვესტიციო კომიტეტის წინაშე წარსადგენად.

მეოთხე პრიორიტეტული ღონისძიება

- **მცირე და საშუალო მეწარმეობის და დამწყები ბიზნესის (start-up) დაფინანსებაზე ორიენტირებული კერძო საინვესტიციო და ვენჩერული კაპიტალის ფონდების მოზიდვა**

ჩატარდა სამუშაობი **დაფინანსებაზე ორიენტირებული საინვესტიციო ფონდების იდენტიფიცირების** მიზნით, კერძოდ მიმდინარეობს მოლაპარაკებები ფონდებთან, ასევე 250 000 აშშ დოლარის გრანტის ინიცირება სარისკო კაპიტალის თანამონაწილეობისა და მოზიდვის მიზნით.

აღნიშნული პრიორიტეტის ერთ-ერთი ღონისძიება ითვალისწინებს **სტარტაპებისა და საინვესტიციო ფონდების შეხვედრის ხელშეწყობას**. ამ მიმართულებით სსიპ „ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს" მიერ, 2018 წელს, ებრაელ ენჯერ ინვესტორთან, Tal Catran-თან შედგა ქართველი სტარტაპების შეხვედრა; ასევე გაიმართა ქართველი სტარტაპების შეხვედრები ებრაული საინვესტიციო კომპანიის ხელმძღვანელთან, ელად ფრანკთან და „Baku Business Factory"-ის ხელმძღვანელთან; სსიპ „საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს" თანადაფინანსების გრანტების პროგრამის ფინალურ ეტაპზე ფინალისტი სტარტაპები საკუთარი პროექტების პრეზენტაციით წარდგნენ საინვესტიციო კომიტეტის (1. დებორა მაჯიდი - IBM-ის კაპიტალ-დაბანდების ჯგუფის წევრი; 2. ნეტ ჯეიკობსონი - საინვესტიციო კომპანიის Sparklabs Global Ventures-ის თანადამფუძნებელი და პარტნიორი, 60-ზე მეტი ინვესტიციით; 3. სტივ გოლდბერგი - შემდეგი კომპანიების აღმასრულებელი დირექტორი: DataRunway, Vidient, Arcwave and CoWave Networks; 4. დოქტორი იოშუა (შუკი) გლეიტმანი - მსოფლიო ბანკის უფროსი მრჩეველი ინოვაციების ეროვნული პოლიტიკის მიმართულებით, IF-ის უფროსი სტრატეგიული მრჩეველი, 1999 წლიდან არის სინგაპურის საპატიო გენერალური კონსული ისრაელში. 5. პოლ მ. ჯოიალი - ეროვნულ დონეზე აღიარებული ექსპერტი ნაციონალური უსაფრთხოებისა და პოსტსაბჭოთა საკითხებში, არის სერიული მეწარმე. 6.

ნიკოლას ზალდასტანი - მისი პროფესიული თანამშრომლობა მოიცავს World Energy-ს დირექტორთა საბჭოს, Allegro Multimedia-ს დირექტორთა საბჭოს, The Ivan and Sam Cancer Foundation-ს. თბილისის ამერიკული აკადემიის თანათავმჯდომარე და ამერიკის შეერთებულ შტატებში ქართველთა ასოციაციის თავმჯდომარე. 7. ნატალია ფიფია - 14 წელზე მეტია მუშაობს ტექნოლოგიისა და განვითარების თანხვედრის სფეროში, აქტიურად თანამშრომლობს სტარტაპებთან მთელი მსოფლიოს მასშტაბით. ამჟამად Capital City Venture-ის მმართველი დირექტორია) წინაშე, რომელთაც გამოავლინეს 18 გამარჯვებული.

საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს მწვანე ტექნოლოგიების და სოფლის მეურნეობის (შვიდი) თანადაფინანსების გრანტების პროგრამის მონაწილე სტარტაპები 2018 წლის სექტემბერში, ავსტრიის ელჩის არად ბენკოს მხარდაჭერით, გაემგზავრნენ ვენასა და გრაცში ვენჩურულ ფონდებსა და ავსტრიელ სტარტაპებთან შესახვედრად. „ფიჩინგ სესიების შემდეგ“ შვიდიდან ორით (სტარტაპები - „მოსტატი„ და „ტრაქტორი“) დაინტერესდნენ ავსტრიელი პარტნიორები.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს და USAID/G4G-ის მიერ დაქირავებული კონსულტანტის დახმარებით **შემუშავებულ იქნა „საინვესტიციო ფონდების შესახებ“ კანონის პროექტი** და სამუშაო შეხვედრების ფარგლებში განხორციელდა განხილვები დაინტერესებულ მხარეებთან.

მეხუთე პრიორიტეტული ღონისძიება

- მცირე და საშუალო მეწარმეობის მხარდაჭერა კომერციული ბანკებიდან და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებიდან დაფინანსების ზრდისთვის

სახელმწიფო პროგრამა „აწარმოე საქართველოში“ ფინანსებზე ხელმისაწვდომობის მიმართულების შემდგომი გაუმჯობესების მიზნით, პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელ ინდუსტრიათა ნუსხას კერძო სექტორის საჭიროებებიდან გამომდინარე დაემატა შემდეგი 2 მიმართულება: ხორცისა და საკვების სექტორში შემავალი ფრინველის ხორცის სუბპროდუქტები და კვების მრეწველობის ნაშთები/ნარჩენების გადამუშავება და ცხოველებისთვის მზა საკვების წარმოება.

სოფლად ახალგაზრდა ფერმერების/მეწარმეების მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, 2018 წლის 28 თებერვალს დაიწყო პროგრამა "ახალგაზრდა მეწარმე". 2018 წელს პროგრამის ფარგლებში 98 ბენეფიციართან გაფორმდა ხელშეკრულება. ინვესტიციის ჯამურმა რაოდენობამ შეადგინა 11,011,072 ლარი, ხოლო სააგენტოს თანადაფინანსებამ - 4,280,376 ლარი.

2018 წელს განხორციელდა **მხარეებს შორის მრგვალი მაგიდების/დისკუსიების ორგანიზება მცირე და საშუალო საწარმოების დაფინანსებაში არსებული დაბრკოლებების იდენტიფიცირებისთვის**, მათი შემდგომი შემცირების მიზნით. სულ გაიმართა 5 რეგიონალური შეხვედრა ადგილობრივ მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლებთან, რომელსაც ესწრებოდა 400-ზე მეტი მონაწილე, კერძოდ, ლაგოდეხი - 80-ზე მეტი მონაწილე, თელავი - 80-ზე მეტი მონაწილე, ქუთაისი - 80-ზე მეტი მონაწილე, რუსთავი - 80-ზე მეტი მონაწილე, ბათუმი - 80-ზე მეტი მონაწილე. პროექტის ფარგლებში, ასევე, გაიმართა შეხვედრა სასტუმრო ინდუსტრიის წარმომადგენლებთან, სადაც მონაწილეობა მიიღო 40 მონაწილემ.

აღნიშნული პრიორიტეტის განმახორციელებელი არის სსიპ „აწარმოე საქართველოში“, ხოლო პარტნიორი საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო.

მონიტორინგისა და შეფასების შედეგები

მეორე სტრატეგიული მიმართულება მოიცავს 5 პრიორიტეტულ ღონისძიებას და 13 ქმედებას. საანგარიშო პერიოდში სრულად განხორციელდა 5-ვე პრიორიტეტული ღონისძიება.

2018 წელს შესრულდა მეორე **სტრატეგიული** მიმართულების შესაბამისი „შესრულების ინდიკატორები“, კერძოდ:

- ✓ მიკრო და მცირე მეწარმეობის ხელშეწყობის კომპონენტის ტექნიკური მხარდაჭერის ფარგლებში ჩატარდა ბენეფიციართა ტრენინგები;
- ✓ შეიქმნა სახელმძღვანელო და ჩატარდა ტრეინინგები მეწარმეთათვის;
- ✓ მომზადდა IFRS for SME-ის ტრენინგის მოდული;
- ✓ შეირჩა ტრენერების სრული ჯგუფი და ჩატარდა IFRS for SME-ის ტრეინინგი ტრენერებისთვის;
- ✓ განისაზღვრა სამიზნე აუდიტორია და ჩატარდა IFRS for SME-ის ტრენინგები სამიზნე ჯგუფებისთვის;
- ✓ ჩატარდა შეხვედრები ფონდების მოძიების თემატიკაზე;
- ✓ გაიმართა შეხვედრები სტარტაპებსა და საინვესტიციო ფონდებს შორის;
- ✓ შემუშავებულია „საინვესტიციო ფონდების შესახებ“ კანონპროექტი;
- ✓ „აწარმოე საქართველოში“ სახელმწიფო პროგრამის ფინანსებზე ხელმისაწვდომობის მიმართულების შემდგომი გაუმჯობესებისთვის მომზადდა ცვლილებები;
- ✓ გაიმართა მრგვალი მაგიდები/დისკუსიების მცირე და საშუალო საწარმოების დაფინანსებაში არსებული დაბრკოლებების იდენტიფიცირებისთვის.

III. მესამე სტრატეგიული მიმართულება: კონკურენტუნარიანი ადამიანური კაპიტალის, სამეწარმეო უნარების და თანამედროვე სამეწარმეო კულტურის განვითარება

პირველი პრიორიტეტული ღონისძიება

- **შრომის ბაზრის საჭიროების იდენტიფიცირება და შესაბამისი დასაქმების პროგრამების განვითარება**

შრომის ბაზარზე თვისობრივი კვლევების განხორციელების ხელშეწყობის მიზნით, საქართველოს მთავრობის 2018 წლის 11 იანვრის N11 დადგენილებით დამტკიცდა ,,დასაქმების ხელშეწყობის მომსახურებათა განვითარების სახელმწიფო პროგრამა". პროგრამის ფარგლებში შრომის ბაზარზე მოთხოვნადი პროფესიებისა და საჭირო კვალიფიკაციის გამოვლენის მიზნით, ჩატარდა თვისობრივი კვლევები. ქვეყნის მასშტაბით გამოიკითხა 269 დამსაქმებელი. აღნიშნული ინტერვიუების საფუძველზე მომზადდა შესაბამისი ანალიზი.

სამუშაოს მაძიებელთა პროფესიული განზრახვების იდენტიფიცირების (პროფორიენტაცია) ღონისძიების ფარგლებში, საქართველოს მთავრობის 2018 წლის 12 თებერვლის N76 დადგენილებით დამტკიცდა „სამუშაოს მაძიებელთა პროფესიული მომზადება-გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების სახელმწიფო პროგრამა". 2018 წლის მომზადება-გადამზადების პროგრამაში ჩაერთო 2908 სამუშაოს მაძიებელი. სრული კურსი დაამთავრა 2871-მა.

„პროფესიული მომზადება-გადამზადების და კვალიფიკაციის ამაღლების", „დასაქმების ხელშეწყობის მომსახურებათა განვითარების" სახელმწიფო პროგრამების დახვეწის/შემდგომი განვითარების ღონისძიების ფარგლებში 2018 წელს *(დეკემბრის მდგომარეობით)* სულ დასაქმებულია **1,888** სამუშაოს მაძიებელი, აქედან: პროფესიული მომზადება-გადამზადების სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში დასაქმდა 876 სამუშაოს მაძიებელი, საშუამავლო მომსახურების ფარგლებში - 482; დასაქმების ფორუმების ფარგლებში - 371; სტაჟირების კომპონენტის ფარგლებში - 95 პირი, მხარდაჭერითი დასაქმების ფარგლებში - 35 შშმ პირი; სუბსიდირების კომპონენტში - 29 პირი, მათ შორის 27 შშმ პირი.

2018 წლის განმავლობაში დამსაქმებლები აქტიურად იყვნენ ჩართულნი პროგრამის სხვადასხვა კომპონენტებში, კერძოდ საშუამავლო მომსახურებაში ჩართული იყო 782 დამსაქმებელი, სუბსიდირების კომპონენტი - 14 დამსაქმებელი, ფორუმებში მონაწილეობა მიიღო 234 დამსაქმებელმა, თვისობრივ კვლევებში - 269 დამსაქმებელმა და სტაჟირების კომპონენტში მონაწილეობდა 43 დამსაქმებელი.

2018 წელს მუნიციპალურ დონეზე ჯგუფურ **კონსულტაციებში მონაწილეობა მიიღო** 1,479-მა სამუშაოს მაძიებელმა, ხოლო ინდივიდუალურად კონსულტირება გაიარა 16,275 სამუშაოს მაძიებელმა.

აღნიშნული ღონისძიებები განახორციელა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურის და სპორტის სამინისტროსა და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსთან მჭიდრო თანამშრომლობით.

მეორე პრიორიტეტული ღონისძიება

- მცირე და საშუალო საწარმოთა ტრენინგების საჭიროებათა შეფასება (TNA)

სსიპ "აწარმოე საქართველოში" სააგენტოს მიერ 2018 წლის განმავლობაში განხორციელდა **TNA სასტუმრო ინდუსტრიის კვლევაზე დაფუძნებული შემდგომი პროექტი**.

ღონისძიების ფარგლებში სააგენტოს მიერ განხორციელდა კვლევა „თანამშრომლობის ხელშეწყობა განათლებასა და ბიზნესს შორის" სასტუმრო ინდუსტრიაში. კვლევის ფარგლებში მოეწყო შეხვედრა ტურიზმისა და მასპინძლობის ინდუსტრიაში მოღვაწე კომპანიებისა და უმაღლეს/პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლებს შორის.

მესამე პრიორიტეტული ღონისძიება

- უწყვეტი სამეწარმეო სწავლების (LLEL) დანერგვა განათლების სისტემის ყველა დონეზე

განათლების სისტემაში LLEL-ის დანერგვის მიზნით, დამტკიცდა განათლებისა და მეცნიერების ერთიანი სტრატეგია 2017-2021 და შესაბამისი სამოქმედო გეგმა, რომელშიც განათლების ყველა საფეხურზე, დაწყებული სკოლამდელი განათლებიდან, გათვალისწინებულია სამეწარმეო სწავლების კომპონენტები, ცალკეული აქტივობების

სახით. განახლდა დაწყებითი, ასევე საბაზო საფეხურის საგნობრივი სტანდარტები, რომელიც **ითვალისწინებს მოსწავლეებში საბაზო სამეწარმეო უნარების განვითარებას.** კერძოდ, მეწარმეობის საკითხები ინტეგრირებულია დაწყებითი საფეხურის ახალ საგანში "მე და საზოგადოება". საბაზო საფეხურზე საგანში „მოქალაქეობა“ ცალკე მიმართულებაა „ინიციატივა და მეწარმეობა“. საშუალო საფეხურებზე, რევიზირებული სასწავლო გეგმის ფარგლებში, მეწარმეობასთან დაკავშირებული საკითხები წარმოდგენილია სამოქალაქო განათლების საგნობრივ პროგრამაში. აგრეთვე, შემუშავებულია არჩევითი საგნის სტანდარტი "მეწარმეობის საფუძვლები", რომელიც განკუთვნილია მე-11 კლასისათვის და სტანდარტის შესაბამისად შექმნილია სახელმძღვანელო.

გარდა სასკოლო განათლებისა, სამეწარმეო უნარების შესახებ ცნობიერების ამაღლება და შრომითი უნარების განვითარება ექსტრაკურიკულარულ პროგრამებშიც იქნა ასახული. კერძოდ, საქართველოს საჯარო სკოლების 1800-მდე მოსწავლემ მონაწილეობა მიიღო მოსწავლეთა საზაფხულო ბანაკებში სხვადასხვა მიმართულებით: სპორტი, ხელოვნება, მეცნიერება და მეწარმეობა (შრომითი უნარების განვითარება). ამ უკანასკნელში ჩართული იყო 400 მოსწავლე.

2018 წლიდან საქართველო მონაწილეობს ბრიტანეთის საბჭოს მიერ ინიცირებულ პროგრამაში „შემოქმედებითი ნაპერწკალი“, რომელიც საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში სამეწარმეო განათლების განვითარებას უწყობს ხელს, ბრიტანულ უნივერსიტეტებთან თანამშრომლობით. ამავე წელს გამოცხადებულ კონკურსში 5 პროექტი დაფინანსდა საერთაშორისო კონსორციუმში საქართველოს უნივერსიტეტების მონაწილეობით.

ასევე, 2018 წელს, გაეროს განვითარების პროგრამის მხარდაჭერით გაკეთდა „პროფესიული განათლების სისტემაში სამეწარმეო განათლების კუთხით აღწერითი კვლევა“, რომლის საფუძველზეც მომზადდა პროფესიულ განათლებაში სამეწარმეო სწავლების დეტალური გეგმის პირველადი სამუშაო ვერსია, სახელმწიფო პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში 2017 წლის საშემოდგომო და 2018 წლის საგაზაფხულო და საშემოდგომო მიღებების ფარგლებში **მოდულურ საგანმანათლებლო პროგრამებზე** (რომლის სავალდებულო კომპეტენციაა სამეწარმეო მოდული) ჩაირიცხა 15,035 სტუდენტი (მათ შორის, 8590 კაცი და 6445 ქალი). ყველა ჩარიცხულმა სტუდენტმა გაიარა მეწარმეობის სავალდებულო მოდული. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ დაწესებულებებში, მეწარმეობის სწავლების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, 2018 წლის სექტემბრიდან, ამერიკის საელჩოს დაფინანსებით, დაიწყო ახალი პროექტის განხორციელება, რომლის მიზანსაც,

მეწარმეობის სწავლების პროცესში, სამეწარმეო იდეებზე დაფუძნებული სწავლების მეთოდოლოგიის პილოტირება წარმოადგენს.

აღნიშნული პრიორიტეტული ღონისძიება ითვალისწინებს **განათლების სისტემაში LLEL-ის დანერგვის მიზნით შექმნილი უწყებათაშორისი სამუშაო ჯგუფის სხდომების ორგანიზებას.** 2018 წლის 14 თებერვალსა და 2018 წლის 8 ივნისს გაიმართა უწყებათაშორისი სამუშაო ჯგუფის ორი სხდომა, რომელსაც, ასევე, ესწრებოდნენ ევროპული განათლების ფონდის (ETF)-ის წარმომადგენლები. ორივე შეხვედრა ეთმობოდა განათლების სისტემაში სამეწარმეო უნარების განვითარების, კერძოდ, სასწავლო პროგრამებში ციფრული და სამეწარმეო კომპეტენციების ინტეგრირების საკითხებს. გაეროს განვითარების პროგრამისა და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურის და სპორტის სამინისტროს მიერ წარდგენილ იქნა „პროფესიული განათლების სიტემაში სამეწარმეო განათლების კუთხით აღწერითი კვლევა“ და პროფესიულ განათლებაში სამეწარმეო სწავლების დეტალური გეგმა. ასევე, 2018 წლის ივლისში, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსა და ევროპული განათლების ფონდის (ETF) ორგანიზებით, გაიმართა გაფართოებული შეხვედრა, მეწარმეობის საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციებთან, სამთავრობო უწყებების წარმომადგენლებთან, ზოგადსაგანმანათლებლო, უმაღლესი და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლებთა მონაწილეობით, სადაც, ETF-მა მონაწილეებს გააცნო ევროპის მეწარმეობის ჩარჩო დოკუმენტი (EntreComp).

მეოთხე პრიორიტეტული ღონისძიება

- მეწარმეობაზე ორიენტირებული პროფესიული განათლების სისტემის განვითარება

აღნიშნული პრიორიტეტი ითვალისწინებს მცირე და საშუალო მეწარმეთა ჩართულობის უზრუნველყოფას პროფესიული განათლების საბჭოსა და თემატურ ჯგუფებში (მაკრო დონე). პროფესიული განათლების ეროვნული პროფესიული საბჭოს წევრები არიან (საქართველოს მთავრობის 2016 წლის 22 დეკემბრის №2599 განკარგულება) დამსაქმებელთა ასოციაციები/გაერთიანებები, დამსაქმებელთა მხრიდან საბჭოში წარმოდგენილია 6 წევრი, რომლებიც არიან საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის, ა(ა)იპ – საქართველოს მცირე და საშუალო საწარმოთა ასოციაციის, ა(ა)იპ – საქართველოს ქალ დამსაქმებელთა ასოციაციის, ა(ა)იპ – საქართველოს მწარმოებელთა ფედერაციის წარმომადგენლები. აღნიშნული გაერთიანებების წევრები, ასევე, ჩართულები არიან საბჭოს თემატური სამუშაო ჯგუფების მუშაობის პროცესში. აღნიშნული ქმედებების

განმახორციელებელია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურის და სპორტის სამინისტრო.

საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის მხარდაჭერით საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატაში შეიქმნა დუალური პროფესიული განათლების საკონსულტაციო საბჭო (აგვისტო, 2018წ.), რომლის შემადგენლობაში შედიან როგორც სახელმწიფო უწყებების, ისე კერძო სექტორის წარმომადგენლები. საბჭო წარმოადგენს საჯარო და კერძო სექტორის დიალოგის მნიშვნელოვან ინსტიტუციურ პლატფორმას, რომლის მიზანია პროფესიული განათლების სისტემის შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლება. საბჭო ახორციელებს სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების მეთოდის დანერგვის ხელშეწყობას და მისი პოპულარიზაციის მხარდაჭერას, როგორც კერძო სექტორთან, ისე პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებთან. მეწარმეების პროფესიული განათლების საკითხში უკეთ ინტეგრაციის მიზნით, გაიმართა საინფორმაციო შეხვედრები მეწარმეებთან და პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებთან: თბილისში, გორში, ქუთაისში, ოზურგეთში, ზუგდიდში, ბათუმში, ახალციხეში, რუსთავსა და თელავში სამუშაოზე დაფუძნებული განათლების პოპულარიზაციის მიზნით. შეხვედრა გაიმართა 9 ქალაქში. აღნიშნული შეხვედრები, დასრულდა კონფერენციით, სადაც შეჯამდა მიღწეული შედეგები.

პროფესიულ კვალიფიკაციათა შემუშავება/განვითარებაში მეწარმეთა მონაწილეობის უზრუნველყოფის (მეზო დონე) ხელშეწყობის ღონისძიებებს ახორციელებს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურის და სპორტის სამინისტრო. პროფესიულ განათლებასა და შრომის ბაზარს შორის შესაბამისობის უზრუნველყოფის ხელშეწყობის მიზნით, სსიპ „განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში“ ფუნქციონირებს 11 მიმართულების დარგობრივი საბჭო, საბჭო შედგება არანაკლებ 7 და არაუმეტეს 9 წევრისაგან. საბჭოში წარმოდგენილია დამსაქმებლები ან/და მათი გაერთიანებები, რომლებიც წარმოადგენენ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 ოქტომბრის N258 დადგენილებით განსაზღვრული სოციალური პარტნიორობის სამმხრივი კომისიის მხარეს - 3 წევრი. საბჭოს წევრებად, დამსაქმებელთა ასოციაციის მიერ წარმოდგენილია 33 პირი, მათ შორის 27 პირი სამეწარმეო სტრუქტურიდან არის წარმოდგენილი. საანგარიშო პერიოდში, პროფესიული განათლების მიმართულებით გაიმართა 6 მიმართულების (ჯანდაცვა, სოციალური დაცვა; ინფორმაციული საკომუნიკაციო ტექნოლოგიები; მომსახურების სფერო; ინჟინერია; სოფლის მეურნეობა; მრეწველობა) დარგობრივი საბჭოს 12 სხდომა, რომლებზეც, ჯამში, განხილულ იქნა 38 პროფესიული სტანდარტი, 16 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტი მოდულებით, აგრეთვე, 3 მოდულთა ბლოკი. ჯამში, დარგობრივი საბჭოების საქმიანობაში მონაწილეობით 11 პროფესიული კვალიფიკაციის

მინიჭებისათვის 27 სამეწარმეო სუბიექტის წარმომადგენელი იყო ჩართული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების, აგრეთვე, პროფესიული სტანდარტების განხილვა/სრულყოფის პროცესში.

პროფესიულ კვალიფიკაციის შემუშავება-განვითარების პროცესში დანერგილია მეთოდოლოგია, რომელიც ითვალისწინებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტებში მეწარმეობის უნარების ინტეგრირებას ან დამოუკიდებელი მოდულის ან/და პროფესიულ მოდულებში სწავლის შედეგების/კომპეტენციების ინტეგრირების გზით. მეთოდოლოგით განსაზღვრულია მეწარმეობის კომპეტენციის/სწავლის შედეგების/მოდულის არსებობის გადამოწმების საშუალება (checklist), ასევე ვალიდაციის პროცესი, რომელიც უზრუნველყოფილია შესაბამისი პროცედურებით დარგობრივ საბჭოებზე განხილვა-რეკომენდაციის განსაზღვრის შედეგად. ამჯერად, განვითარებულ ყველა ორმოცდაცხრამეტივე (90 სწავლის სფერო/პროფესიული კვალიფიკაცია) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტში/პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტში ინტეგრირებულია მეწარმეობის სწავლის შედეგები.

პროფესიულ განათლებაში სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების მიდგომით პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვის მიზნით განხორციელდა 2018 წლის საგაზაფხულო მიღება, რომლის ფარგლებშიც, დუალური მიდგომით მიღება გამოცხადდა შემდეგ პროგრამებზე: მეხილეობა (კურკოვანი კულტურები/თესლოვანი კულტურები/კაკლოვანი კულტურები), კულინარიის ხელოვნება, სარესტორნო მომსახურება, სასტუმრო მომსახურება, საგზაო მშენებლობა. აღსანიშნავია, რომ საგზაო მშენებლობის დუალურ პროგრამაზე, 2018 წლის საგაზაფხულო ჩარიცხვების ფარგლებში, პირველად გამოცხადდა მიღება. 2018 წლის საშემოდგომო მიღებისათვის, სარკინიგზო, ტურიზმისა და სოფლის მეურნეობის მიმართულებებს, დაემატა საამშენებლო მიმართულების დუალური პროგრამებიც. 2018 წლის საშემოდგომო მიღების ფარგლებში, დუალური მიდგომით მიღება გამოცხადდა შემდეგ პროგრამებზე: მეფუტკრე, რკინიგზის ლიანდაგის მშენებლობა, რკინიგზის ლიანდაგის მონიტორინგი, რკინიგზის ელექტრო-მომარაგების მეურნეობა, სავაგონო მეურნეობა, სარკინიგზო გადაზიდვები, მეთევზეობა (ფერმერობა მეთევზეობაში), კულინარიის ხელოვნება, კონდიტერია, საავტომობილო გზების მშენებლობა, მევენახეობა-მეღვინეობა, ქვის სამუშაოების წარმოება, სამღებრო სამუშაოები, წყალმომარაგების სისტემები, სარესტორნო მომსახურება, რკინიგზის ელექტრო მოძრავი შემადგენლობა, რკინიგზის ტრანსპორტზე სიგნალიზაცია, ცენტრალიზაცია და ბლოკირება, ლოკომოტივის მართვა, ხორცისა და ხორცპროდუქტების წარმოება, ზეინკალ-სანტექნიკოსი, ფილამწყობი,

წყალმომარაგებისა და წყალარინების სისტემები, ელექტროობა, შედუღება, თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მონტაჟი.

2018 წლის ზაფხულში, ჩატარდა პირველი შუალედური გამოცდები, დუალური პროგრამების ბენეფიციარებისთვის, რომელშიც, საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენელთა გარდა, ჩართულნი იყვნენ საქართველოს სამრეწველო-სავაჭრო პალატისა და ბიზნესის წარმომადგენლები.

სსიპ „საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს“, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურის და სპორტის სამინისტროს და ორგანიზაცია “EUHack”-ის ორგანიზებით, მოეწყო **პროფესიული სტუდენტების/კურსდამთავრებულების ჩართულობით სამრეწველო იდეების კონკურსი (პროფესიული განათლების ჰაკათონი, ბუსთერი).** 2018 წლის 25-29 ივნისს ტექნოპარკში ჩატარდა ღონისძიება “პროფესიული განათლების ჰაკათონი”. ჰაკათონში მონაწილეობა მიიღო განათლების სამინისტროს 14 სახელმწიფო პროფესიული სასწავლებლის სტუდენტებმა, რომლებმაც მაღალტექნოლოგიური ან/და ინოვაციური პროდუქტები ფაბლაბების ბაზაზე შექმნეს.

ჩატარდა სტარტაპ ბუსთერი, რომელიც გულისხმობდა პროფესიული სასწავლებლისთვის სპეციალურად მორგებულ 5 დღიან ინტენსიურ ტრენინგებს, იმისთვის, რომ მომხდარიყო ჰაკათონზე შექმნილი იდეების დახვეწა და განვითარება. მონაწილეებმა გაიარეს ინტენსიური ტრენინგები ბიზნეს მოდელის ჩამოყალიბებისთვის, ასევე, გაიარეს ტრენინგები პრეზენტაციის მომზადებაში ინვესტორების წინაშე წარდგენისთვის.

მონაწილეებმა, კვირეულის ფარგლებში მიიღეს ინფორმაცია იმ არსებული პლატფორმების შესახებ, რომელიც მათ დაეხმარებათ დაფინანსების მიღებაში.

გაეროს განვითარების პროგრამის მხარდაჭერით აქტიური მუშაობა განხორციელდა **„პარტნიორობა ცოდნისთვის“ ფორუმის/პლატფორმის** დახვეწის მიმართულებით.

მეხუთე პრიორიტეტული ღონისძიება

- **არაფორმალურ განათლებაზე ხელმისაწვდომობის ზრდა**

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურის და სპორტის სამინისტროს მიერ შემუშავებული არაფორმალური განათლების აღიარების კონცეფციის და შესაბამისი მეთოდოლოგიის საფუძველზე განხორციელდა არაფორმალური განათლების აღიარების პილოტირება 3 პროგრამაზე.

საქართველოს ახალი კანონი პროფესიული განათლების შესახებ ძალაში შევიდა 2018 წლის ოქტომბერში. ახალი მეთოდოლოგიის შესაბამისად, შემუშავდა **არაფორმალური განათლების აღიარების ახალი წესის პროექტი,** რომელიც დამტკიცდება დოკუმენტის პროექტიის საბოლოო რევიზია/დახვეწის შემდეგ.

თბილისსა და რეგიონებში არაფორმალური განათლების პროგრამების ფარგლებში განხორციელდა პროექტი "ინტერნეტი განითარებისთვის". პროექტის ფარგლებში ჩატარდა ცნობიერების ასამაღლებელი უფასო ტრენინგები ციფრულ წიგნიერებასა და ელექტრონულ ბიზნესში საქართველოს 6 რეგიონში: შიდა ქართლი, ქვემო ქართლი, კახეთი, მცხეთა-მთიანეთი, სამცხე-ჯავახეთი და სამეგრელო. ჯამში, 37 მუნიციპალიტეტში ჩატარდა 50 შეხვედრა (ტრენინგი), რომელსაც დაესწრო 1,000-მდე ადამიანი. აქედან, ინოვაციების ცენტრების ბაზაზე (ზუგდიდსა და ჭოპორტში) ჩატარდა 3 ტრენინგი და დაესწრო 50-მდე მონაწილე.

მეექვსე პრიორიტეტული ღონისძიება

- **მცირე და საშუალო მეწარმეობისთვის ტექნიკური დახმარების (TA) უზრუნველყოფა**

აღნიშნული გულისხმობს **ტექნიკური დახმარების უზრუნველყოფას სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში**. საანგარიშო პერიოდში, სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, სსიპ „აწარმოე საქართველოში“ სააგენტოს მიერ ტექნიკური დახმარების კომპონენტით ისარგებლა 6-მა ბენეფიციარმა.

სსიპ „აწარმოე საქართველოში“ სააგენტოს მიერ **პარტნიორებთან თანამშრომლობით შემუშავდა ორი ტრენინგ-პროგრამა**, კერძოდ, მასტერკლასების სერია „განავითარე შენი ბიზნესი“ და პროგრამის “FDI/MNC-SMEs linkages” ფარგლებში, ბიზნეს მიმოხილვის კითხვარების საფუძველზე ადგილობრივი მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლებისთვის, შემუშავდა ტრენინგები.

ტურიზმის ინდუსტრიაში არსებული მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლებისათვის უნარების გაუმჯობესების ხელშეწყობისთვის საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მიერ, ტექნიკური დამარების ფარგლებში ქვეყნის მასშტაბით სხვადასხვა თემატიკის ტრენინგების უზრუნველყოფის მიზნით 2018 წელს განხორციელდა შემდეგი ტრენინგები: 1. „ინგლისური ენის შემსწავლელი კურსები“ (წყალტუბო, ქუთაისი); 2. „საგადასახო კოდექსი და ფინანსური ანგარიშგება” (სტეფანწმინდა, თელავი, სიღნაღი, ლაგოდეხი, მარნეული, თეთრიწყარო, წყალტუბო, ოზურგეთი). 3. “ჰიგიენა და სურსათის უვნებლობა” (თბილისი, მცხეთა, თელავი,

ლაგოდეხი, წყალტუბო, სტეფანწმინდა, თიანეთი, გორი, კასპი, ხაშური); 4. „პირველადი სამედიცინო დახმარება” (თბილისი); 5. „შშმ პირთა მომსახურების უნარ-ჩვევების ტრენინგი“ (თბილისი, მცხეთა, ქუთაისი, ბათუმი, თელავი, ზუგდიდი, სტეფანწმინდა, წყალტუბო, ბორჯომი); 6. უცხოელი, საერთაშორისო გამოცდილების ტრენერების მიერ განხორციელდა მოქმედი გიდების „ტრენერთა ტრენინგი“, რომელიც ჩაატარა მსოფლიო გიდების ასოციაციების ფედერაციის საერთაშორისო ტრენერმა (ქ. თბილისი). 7. კახეთის რეგიონისა და ქ. თბილისის განთავსების ობიექტების მენეჯერებისათვის ჩატარდა ტრენინგი "მართვის უნარ-ჩვევებში"; 8 „მარკეტინგი და გაყიდვების მხარდაჭერა (მცხეთა, თელავი, წყალტუბო, სტეფანწმინდა, თიანეთი, გორი, კასპი, ხაშური); 9. „ღვინო და კულინარია“ (თბილისი, გორი, ქუთაისი, წყალტუბო, ბორჯომი, მარტვილი).

EFQM - წარმატების მოდელის პოპულარიზაციის მიზნით საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატაში დასრულდა სრულყოფის მოდელის დანერგვის საბოლოო ეტაპი. პროექტის ფარგლებში განხორციელდა სავაჭრო-სამრეწველო პალატის მომსახურებების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად სისტემატიზაცია და მომზადდა შესაბამისი სახელმძღვანელო. დაგეგმილია ბიზნეს ორგანიზაციებს შორის მოდელის პოპულარიზაციის ღონისძიებების გააქტიურება.

მეშვიდე პრიორიტეტული ღონისძიება

- საგანმანათლებლო კომპონენტის განვითარება “აწარმოე საქართველოში“ სააგენტოს ვებგვერდზე

საგანმანათლებლო კოპმპონენტის განვითარების მიზნით, მეწარმეების მომსახურების ცენტრში და სსიპ “აწარმოე საქართველოში“ სააგენტოს ვებ-გვერდზე განთავსებულია **საგანმანათლებლო მასალები - ბიზნეს-ლიტერატურა**.

მერვე პრიორიტეტული ღონისძიება

- მეწარმეების მომსახურების ცენტრის მომსახურებების პორტფელის გაფართოება

მეწარმეების მომსახურების ცენტრში აქტიურად მიმდინარეობს კონსულტაციების გაწევა დაინტერესებული მხარეებისათვის. სსიპ „აწარმოე საქართველოში“ სააგენტოს ფარგლებში, სრული დატვირთვით ფუნქციონირებს სერვის ცენტრი, რომელმაც **გააფართოვა მომსახურების პორტფელი** და ნებისმიერ დაინტერესებულ პირს აწვდის დეტალურ ინფორმაციას სახელმწიფო პროგრამების თაობაზე.

მეწარმეების მომსახურების ცენტრში 2018 წლის 1 იანვრიდან 30 ნოემბრის ჩათვლით გაწეული კონსულტაციების რაოდენობამ შეადგინა 20 423, მათ შორის:

- ზარი - 11,056 (54%)
- ონლაინ ჩატი - 6,243 (31%)
- ელ. ფოსტა - 2,418 (12%)
- ვიზიტი - 706 (3%)

რეგიონებში მცხოვრები მოსახლეობის მეტად ინფორმირების მიზნით, 2018 წლის 17 აგვისტოს, ქ. ბათუმში გაიხსნა მომსახურების ცენტრის წარმომადგენლობა, რომელიც გასცემს კონსულტაციებს სააგენტოს სერვისებისა და სახელმწიფო ხელშემწყობი პროგრამების შესახებ.

მეცხრე პრიორიტეტული ღონისძიება

- ქალთა მეწარმეობის წახალისება

სსიპ „აწარმოე საქართველოში“ და სსიპ „საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო“, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსთან პარტნიორობით ახორციელებს **სახელმწიფო პროგრამებში ქალთა მონაწილეობის ხელშეწყობის პროექტებს.** მომზადდა მიკრო და მცირე ბიზნესის ხელშეწყობის კომპონენტის მთავრობის დადგენილების ცვლილების პროექტი, რომელშიც ერთ-ერთი პრიორიტეტული ქალთა მეწარმეობის წახალისებაა.

სსიპ „საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოს“ მიერ 5,000 ლარამდე მცირე საგრანტო პროგრამის ფარგლებში 10 დეკემბერის მონაცემებით, ჯამში 20 ქალ მეწარმეს მიეცა გრანტი (პროტოტიპირების, სამგზავრო და ღონისძიებების ორგანიზებისთვის); „თანადაფინანსების გრანტები სტარტაპებისთვის“ ფარგლებში 3 სტარტაპს მიეცა 100,000 ლარის ოდენობის გრანტი (რომლებიც არიან აღნიშნული სტარტაპების ხელმძღვანელები). ასევე, ჩატარდა ,,პროგრამირების ბანაკი - WomenTechmakers– 2 დღიანი ბანაკი 14-16 წლამდე გოგონებისთვის, პროგრამირების საფუძვლების შესასწავლად.

„აწარმოე საქართველოში“ სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში ქალთა მეწარმეობის ხელშეწყობის მიზნით სსიპ "აწარმოე საქართველოში" სააგენტოს მიერ შემუშავებულია სპეციალური კრიტერიუმი. აღნიშნული კრიტერიუმი ქალთა მიმართ ბიზნესის დაწყების უპირატეს ხელშეწყობას უზრუნველყოფს, რამაც თავის მხრივ აღნიშნული სახლმწიფო პროგრამის ბენეფიციარ ქალთა რიცხვის გაზრდა განაპირობა.

ქალთა მეწარმეობის ხელშეწყობის მიზნით, შეიქმნა კერძო სექტორის განვითარების ხელშეწყობის საკონსულტაციო საბჭოსთან არსებული ქალთა მეწარმეობის ხელშეწყობის ქვესაბჭო. ქვესაბჭოს შექმნის მიზნით შესაბამისი ცვლილებები განხორციელდა კერძო სექტორის განვითარების საკონსულტაციო საბჭოს დებულებაში. **საანგარიშო პერიოდში ჩატარდა ქვესაბჭოს სხდომები**, სადაც მონაწილეობა მიიღეს ქვესაბჭოს წევრმა მეწარმე ქალებმა და ასევე, ქალთა ეკონომიკური გაძლიერების საკითხებზე მომუშავე ასოციაციის წარმომადგენლები.

მეწარმე ქალთა ხელშეწყობის მიზნით, საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის მიერ საანგარიშო პერიოდში, ჩატარდა მეწარმე ქალთა ეროვნული ბიზნეს ფორუმი, სადაც მონაწილეობა მიიღო საქართველოს ყველა რეგიონის 300-მა მეწარმე ქალმა.

მეათე პრიორიტეტული ღონისძიება

- მცირე და საშუალო საწარმოებში „მწვანე პრაქტიკის“ წახალისება

მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების (EPR) დანერგვის მიზნით პროცესს დაქვემდებარებული სუბიექტების შესაძლებლობების გაძლიერებასა და ცნობიერების ამაღლების ღონისძიებებს ახორციელებს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო. ამ მიმართულებით შვედეთის განვითარების სააგენტოსა (SIDA) და შვედეთის გარემოს დაცვის სააგენტოს (SEPA) მხარდაჭერით მიმდინარე პროექტის „ნარჩენების მართვის ინტეგრირებული სისტემის განხორციელებისათვის შესაძლებლობების განვითარება და საჭირო ღონისძიებების მხარდაჭერა საქართველოში 2017-2020 წლებში, კერძოდ, სახიფათო და ბიოდეგრადირებადი ნარჩენების მართვის, ასევე, მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების თაობაზე (EPR)“ ფარგლებში, ჩატარდა სასწავლო ტური შვედეთში, ქ. სტოკჰოლმში, რომელიც მიზნად ისახავდა EPR პრინციპის დასანერგად სახელმწიფო სტრუქტურების და კერძო სექტორის სრულ ინფორმირებას, პროცესში აქტიური ჩართულობის, გამოცდილების ურთიერთგაზიარებისა და სამომავლო თანამშრომლობის გაღრმავებას. ზემოაღნიშნულ სასწავლო ტურში საჯარო სექტორის წარმომადგენლებთან ერთად მონაწილეობა მიიღო 7 მსხვილი ბიზნეს ორგანიზაციის წარმომადგენელებმა.

ევროკავშირის დაფინანსებით მიმდინარე პროექტის ფარგლებში მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულებასთან დაკავშირებით ევროპული დირექტივების და არსებული მოდელის თაობაზე საჯარო მოხელეთა და ადგილობრივი ორგანოების წარმომადგენელთათვის მოეწყო სასწავლო ვიზიტი საბერძნეთის ქალაქ ათენში.

ასევე, ევროკავშირის დაფინანსებით მიმდინარე პროექტების ფარგლებში მუდმივ რეჟიმში ხორციელდება საინფორმაციო და საკონსულტაციო შეხვედრები მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულებას დაქვემდებარებული სუბიექტების ცნობიერების ამაღლების მიზნით.

ნარჩენების აღრიცხვა-ანგარიშგების მიზნით მეწარმეებისთვის კონსულტაციების გაწევა ნარჩენების მონაცემთა ბაზის ელექტრონული სისტემის ეფექტიანი მუშაობის უზრუნველყოფისთვის, შეიქმნა ნარჩენების აღრიცხვა-ანგარიშგებისა და ნარჩენების შეგროვება/ტრანსპორტირება/შენახვის შესახებ ნარჩენების მართვის ერთიანი ეროვნული ბაზა. აღრიცხვა-ანგარიშგების და ელექტრონული რეგისტრაციის წარმოების ვალდებულება კი ძალაში შევიდა 2018 წლის 1 იანვრიდან. ნარჩენების მართვის ელექტრონულ სისტემაში რეგისტრირებულია 570 ორგანიზაცია და წარმოდგენილია სახიფათო ნარჩენების ტრანსპორტირების 25 000-მდე ფორმა.

ტელეფონისა და ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებით ნარჩენებისა და ქიმიური ნივთიერებების მართვის დეპარტამენტის თანამშრომლები ყოველდღიურ რეჟიმში უწევენ კონსულტაციას თითოეულ მეწარმე-სუბიექტებს, რომლის საქმიანობა დაკავშირებულია ნარჩენების მართვასთან.

2018 წელს **გარემოსდაცვითი მმართველის (მენეჯერის) კურსების** გავლის მოთხოვნის 97.8% დაკმაყოფილდა და აღნიშნული კურსი გაიარა 45-მა ადამიანმა.

მონიტორინგისა და შეფასების შედეგები

მესამე სტრატეგიული მიმართულება მოიცავს 10 პრიორიტეტულ ღონისძიებას და ჯამში 27 ქმედებას. 2018 წელს განხორციელდა 10-ვე პრიორიტეტული ღონისძიება და 27-ვე ქმედება.

2018 წელს შესრულდა მესამე სტრატეგიული მიმართულების შესაბამისი „შესრულების ინდიკატორები“, კერძოდ:

- ✓ გადამზადდა პროგრამით მოსარგებლე სამუშაოს მაძიებლები;
- ✓ სწავლების პროცესში ჩართულ იქნა დამსაქმებლები;
- ✓ გადამზადდა და დასაქმდნენ პროგრამის ბენეფიციარები, მათ შორის მოწყვლადი ჯგუფებიდან;
- ✓ ჩატარდა კვლევა განათლების სისტემაში LLEL-ის დასანერგად პოტენციური საჭიროებებისა და გამოწვევების გამოაშკარავების მიზნით;
- ✓ განხორციელდა TNA სასტუმროს ინდუსტრიის სფეროში;
- ✓ მომზადდა განათლების სისტემაში LLEL-ის განხორციელების ანგარიში;

- ✓ პროფესიულმა სტუდენტებმა გაიარეს მეწარმეობის მოდული;
- ✓ ჩატარდა LLEL-ის დანერგვის მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფის 2 სხდომა;
- ✓ პროფესიულ განათლების საბჭოში და თემატურ ჯგუფებში ჩართულია მცირე და საშუალო საწარმოების წარმომადგენლები;
- ✓ მომზადდა დარგობრივ საბჭოების ანგარიშები და ოქმები;
- ✓ დანერგილია ახალი პროგრამა სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების მიდგომით;
- ✓ ორგანიზებულია სამრეწველო იდეების კონკურსები;
- ✓ შეიქმნა ფორუმი/პლათფორმა მხარეებს შორის ინფორმაციის გაცვლის მიზნით;
- ✓ თბილისსა და რეგიონებში ინოვაციების ცენტრების ბაზაზე ჩატარებულია სასწავლო პროგრამები;
- ✓ ბიზნეს ინკუბატორის პროექტის ფარგლებში მიღებული ტექნიკური დახმარება;
- ✓ განხორციელდა ტექნიკური დახმარება სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში;
- ✓ განხორციელდა აქტივობები EFQM – წარმატების მოდელის პოპულარიზაციის მიზნით;
- ✓ ვებ-გვერდზე განთავსებულია საგანმანათლებლო მასალები და ბიზნეს-ლიტერატურა;
- ✓ მეწარმეების მომსახურების ცენტრში მეწარმეთათვის გაწეული იქნა სერვისები, ჩატარდა ლექციები/ სემინარები, ასევე გაწეული იქნა კონსულტაციები;
- ✓ მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების (EPR) დანერგვის მიზნით პროცესს დაქვემდებარებული სუბიექტების შესაძლებლობების გაძლიერების და ცნობიერების ამაღლების მიზნით ჩატარდა შეხვედრები;
- ✓ ნარჩენების აღრიცხვა-ანგარიშგების მიზნით მეწარმეებისთვის ჩატარებული კონსულტაციები და შეხვედრები;
- ✓ დაკმაყოფილდა გარემოსდაცვითი მმართველის (მენეჯერის) კურსების გავლის მსურველებისგან მიღებული მოთხოვნები.

IV.მეოთხე სტრატეგიული მიმართულება: ექსპორტის ხელშეწყობა და მცირე და საშუალო საწარმოთა ინტერნაციონალიზაცია

პირველი პრიორიტეტული ღონისძიება

- **DCFTA-ის პერსპექტივების და მოთხოვნების შესახებ ცნობიერების ამაღლება**

DCFTA-ის პერსპექტივების და მისი მოთხოვნების შესახებ **ცნობადობის ამაღლების მიზნით გაფორმდა მემორანდუმი EPRC-თან**. აღნიშნული ქმედების განმახორციელებელია სააგენტო - სსიპ „აწარმოე საქართველოში“.

საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის მიერ 2018 წლის განმავლობაში პროექტის ფარგლებში **DCFTA-ის შესახებ ცნობადობის ასამაღლებლად საანგარიშო პერიოდში** სულ ჩატარდა 49 ტრეინინგი. რეგიონული DCFTA საინფორმაციო ცენტრებში ჯამში 1100-ზე მეტმა მეწარმემ მიიღო კონსულტაცია 2018 წლის განმავლობაში.

მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების და ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობის მიზნით, გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) პროექტის - „მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარება და DCFTA საქართველოში“ ფარგლებში, განხორციელდა და მიმდინარეობს მუშაობა კლასტერების განვითარების მხარდაჭერის პროექტზე. პირველ ეტაპზე პროექტი ითვალისწინებს საქართველოში კლასტერების ჩამოყალიბების მიმართულებით პოლიტიკის შემუშავებას, მეორე ეტაპზე კი კლასტერების ჩამოყალიბებას. კლასტერებად გაერთიანება ქართულ კომპანიებს გაუადვილებს გლობალურ ბაზარზე გასვლას და დამკვიდრებას. პროექტის ფარგლებში, 2018 წელს საქართველოში ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს წარმომადგენლებსა და ევროპელ ექსპერტებს შორის გაიმართა რამდენიმე შეხვედრა. ამასთან 2018 წლის 11-15 ივნისს, ლატვიისა და ესტონეთის რესპუბლიკებში, ქართული მხარისთვის, მათ შორის ICT სფეროს მცირე და საშუალო კომპანიების წარმომადგენლებისთვის გაიმართა ICT კლასტერების ფორმირებაში გამოცდილების გაზიარების პროგრამა, რომლის დროსაც გაიმართა შეხვედრები ლატვიისა და ესტონეთის ICT კლასტერის წევრ კომპანიებთან და კლასტერების მენეჯერებთან, ესტონეთის რესპუბლიკის ეკონომიკისა და კავშირგაბმულობის სამინისტროს წარმომადგენლებთან და სხვა.

განხორციელდა **DCFTA საინფორმაციო ცენტრების ქსელის გაფართოების ღონისძიებები,** კერძოდ, მოცემულ ეტაპზე საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის სისტემაში ფუნქციონირებს 4 საინფორმაციო ცენტრი - გორში, ბათუმში, ქუთაისსა და ზუგდიდში.

2017 წელს დაიწყო და 2018 წელსაც კვლავ აქტიურად ხორციელდება ცნობადობის გაზრდის ღონისძიებები და **მეწარმეთათვის ინფორმაციის მიწოდება ხარისხის ეროვნულ ინფრასტრუქტურასთან** (მეტროლოგია, სტანდარტები, აკრედიტაცია) დაკავშირებით. ევროკავშირის ტვინინგის პროექტის „საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერა ევროკავშირი-საქართველოს DCFTA მოთხოვნების შემდგომი იმპლემენტაციის მიზნით“ ფარგლებში, გაიმართა შეხვედრები საქართველოს რეგიონებში ადგილობრივი ბიზნეს სექტორის წარმომადგენლებთან თელავისა (17.05.2018) და ზუგდიდის (19.06.2018) მუნიციპალიტეტებში სტანდარტიზაციისა და მეტროლოგიის სფეროში ქართული და ევროპული გამოცდილების გაზიარების მიზნით. ასევე, აღიშნული პროექტის ფარგლებში სააგენტოში ჩატარდა საჯარო ლექცია სტუდენტებისათვის „სტანდარტების სარგებლიანობის შესახებ“. „აკრედიტაციის ცენტრი“-ს მიერ აკრედიტაციის და შესაბამისობის შეფასების სფეროს შესახებ ცნობიერების ამაღლების მიზნით, აკრედიტაციის საერთაშორისო დღისადმი (08.06.2018) მიძღვნილი ღონისძიების ფარგლებში მოეწყო შეხვედრა აკრედიტაციის სფეროთი დაინტერესებული ბიზნეს სექტორის წარმომადგენლებთან.

2018 წლის 22-23 თებერვალს ჩატარდა ტრენინგი ,,ისო 50001-ენერგო მენეჯმენტის სისტემებზე“, პროექტის „საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოსა და გაეროს სამრეწველო განვითარების ორგანიზაციის (UNIDO) ორგანიზებითა და საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოს (GITA) მხარდაჭერით. აღნიშნულ შეხვედრაში მონაწილეობა მიიღეს ენერგო-ეფექტურობის, ელექტროენერგიის სფეროში მოქმედმა ორგანიზაციებმა და აღნიშნული საკითხით დაინტერესებულმა პირებმა.

სსიპ „საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო“ ახორციელებს **მეწარმეებისთვის და დაინტერესებული პირებისთვის ხარისხის ინფრასტრუქტურის სერვისების დიაპაზონის და სფეროების გაზრდას**. კერძოდ, საქართველოს „სტანდარტების პროგრამის“ შესაბამისად, საქართველოს სტანდარტად დარეგისტრირდა (2018 წლის 10 დეკემბრის მდგომარეობით) სულ დარეგისტრირდა 1756 სტანდარტი, მათ შორის:

- ✓ სსტ ისო (საერთაშორისო სტანდარტი) - 99;
- ✓ სსტ ენ (ევროპული სტანდარტი) - 1591;
- ✓ სსტ ისო (საქართველოს სტანდარტი, ქართულენოვანი ვერსია) - 12;
- ✓ სსტ ენ (საქართველოს სტანდარტი, ქართულენოვანი ვერსია) - 9;
- ✓ ეტსი ენ (ევროპული სატელეკომუნიკაციო სტანდარტების ინსტიტუტის სტანდარტი) - 40;
- ✓ სსტ იეკ (საერთაშორისო სტანდარტი) – 4.
- ✓ სსტ ბს (დიდი ბრიტანეთის სტანდარტი) - 1.

საქართველოს სტანდარტების და მეტროლოგიის სააგენტოში 2018 წლის 01-03 ოქტომბერს ჩატარდა სააგენტოს მეტროლოგიის ინსტიტუტის ეტალონური ლაბორატორიების საერთაშორისო შეფასება, უნდა აღინიშნოს რომ სააგენტომ საერთაშორისო აღიარებას უკვე მიაღწია 2014 წელს სამი მიმართულებით: ელექტროგაზომვები, მასა და ტემპერატურა. 2018 წელს მნიშვნელოვანად გაფართოვდა საერთაშორისო აღიარების დიაპაზონი როგორც არსებულ სფეროებში, ასევე დაემატა სრულიად ახალი მიმართულებები: **გეომეტრია (სიგრძის გაზომვები), მასა და მასთან დაკავშირებული სიდიდეები (მასა, მცირე მოცულობა, წნევა), ტემპერატურა და ტენიანობა, ელექტროგაზომვები, მაიონიზებელი გამოსხივება.**

საყურადღებოა აღინიშნოს, რომ საქართველოსა და EU-ს შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შეთანხმება ითვალისწინებს ქვეყანაში საერთაშორისო დონეზე აღიარებული ხარისხის ეროვნული ინფრასტრუქტურის და მისი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ელემენტის მეტროლოგიის არსებობასა და განვითარებას საუკეთესო პრაქტიკის შესაბამსიად. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ ქვეყანაში საერთაშორისო დონეზე აღიარებული მეტროლოგიური სერვისების ხელმისაწვდომობა ხელს უწყობს ქვეყნის საექსპორტო პოტენციალის გაზრდას, ეროვნული პროდუქციის შეღწევადობას საერთაშორისო ბაზრებზე, რადგან საქართველოლში გაცემული დაკალიბრების და გაზომვის სერტიფიკატები აღიარებულია საერთაშორისო დონეზე, რაც ძალზედ მნიშვნელოვანია ქართული პროდუქციის კონკურენტუნარიანობის ამაღლებისათვის. საწარმოებს, ლაბორატორიებს სხვა დაინტერესებულ პირებს აღარ მოუწევთ გაზომვის საშუალებების საზღვარგარეთ გაგზავნა, რადგან აღნიშნული მომსახურება უკვე საქართველოშია ხელმისაწდვომი. ეს დაუზოგავს მათ ხარჯებს (დაკალიბრების ღირებულება, ტრანსპორტიების, საბაჟო და სხვა ხარჯები), რააც თავის მხრივ პროდუქციის კონურენტუნარიანობის ამაღლებას შეუწყობს ხელს.

საქართველოსა და ევროკავშირს შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის (DCFTA) შესახებ კერძო და საჯარო სექტორს შორის დიალოგის ფარგლებში ჩატარდა 2 რეგიონალური სამუშაო შეხვედრა (22 თებერვალს, ამბროლაურის მუნიციპალიტეტში და 23 თებერვალს, ქ. ქუთაისში) მრგვალი მაგიდის ფორმატით, რომელიც DCFTA-ით გათვალისწინებული ვალდებულებების იმპლემენტაციას მიეძღვნა. ღონისძიება საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ იყო ორგანიზებული და განხორციელდა ევროპული პროექტის - „ასოცირების ხელშეკრულების განხორციელების ხელშეწყობა“ - მხარდაჭერით.

მუდმივად მიმდინარეობს DCFTA-ის აღნიშნული **ვებ-გვერდის** www.dcfta.gov.ge **განახლება**, კერძოდ: საიტზე განახლდა ვაჭრობის სტატისტიკა 2018 წლის ყოველთვიური

მონაცემების მიხედვით; შენიშვნებისთვის გასაჯაროვდა საკანონმდებლო აქტების პროექტები სანიტარიულ და ფიტოსანიტარიულ და ვაჭრობაში ტექნიკური ბარიერების სფეროებში; მოხდა დაინტერესებული პირების დახმარება საიტზე განთავსებულ საკონტაქტო მეილზე შემოსულ კითხვებთან დაკავშირებით. უნდა აღინიშნოს, რომ 2018 წელს **ვებ-გვერდის** ვიზიტორთა რაოდენობა მნიშვნელოვნად გაიზარდა და 20, 239 ვიზიტორი შეადგინა.

„საქართველოს ფოსტა“ ელექტრონული კომერციით დაკავებულ მეწარმე სუბიექტებს სთავაზობს ღია ელექტრონულ პლატფორმას, რომლის დახმარებითაც ნებისმიერ დაინტერესებულ პირს, მათ შორის მცირე და საშუალო მეწარმეებს შესაძლებლობა ექნება აწარმოონ ელექტრონული კომერცია როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე გაიტანონ საკუთარი პროდუქცია ექსპორტზე.

მეორე პრიორიტეტული ღონისძიება

- მეწარმეობის მხარდაჭერა DCFTA მოთხოვნებთან ადაპტაციაში

ბოლო წლების განმავლობაში ინტენსიურად მიმდინარეობს **მცირე და საშუალო საწარმოების ექსპორტის პოტენციალის ანალიზი სექტორულ ჭრილში**. შემუშავდა და მოდიფიკაცია განიცადა ექსპორტის მზაობის ტესტმა, როგორც პროდუქტების, ისე სერვისების მიმართულებით.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ განხორციელდა **ექსპორტის პოტენციალის მქონე სექტორების ანალიზი ახალი სექტორების იდენტიფიცირების მიზნით,** კერძოდ, შესწავლილი იქნა სავაჭრო პარტნიორი სამიზნე ქვეყნების ადგილობრივი ბაზრის მოთხოვნა, გამოიკვეთა ახალი პოზიციები, შესაბამისი საექსპორტო ბაზრები, სადაც აქვთ პოტენციალი ამ პროდუქტებს. ასევე, მიმდინარეობს აქტიური მუშობა დამატებით ახალი სექტორებისა და პროდუქტების იდენტიფიცირების მიზნით.

ამ ეტაპზე იდენტიფიცირებულია **ექსპორტის პოტენციალის მქონე** შემდეგი სექტორები: სათამაშოები; ავეჯი; ფეხსაცმელი; ჩანთები და აქსესუარები; საბავშვო ტანსაცმელი. განხორციელდა ინდივიდუალური და ჯგუფური შეხვედრები აღნიშნული სექტორების წარმომადგენლებთან DCFTA-ის მოთხოვნებთან შესაბამისობის კუთხით საჭიროებების განსაზღვრის მიზნით. ჯამში მონაწილეობა მიიღო 90-ზე მეტმა ბენეფიციარმა.

სსიპ „აწარმოე საქართველოში“ სააგენტოს მიერ DCFTA-ის საკითხებთან მიმართებით შემუშავებულია **მხარდაჭერის შემდეგი ინსტრუმენტები**: საერთაშორისო გამოფენების, სავაჭრო მისიებისა და კონფერენციების ორგანიზება/თანადაფინანსება; შემუშავდა

ექსპორტის გზამკვლევი; მოდიფიკაცია განიცადა ექსპორტის მზაობის ტესტმა; განხორციელდა სხვადასხვა ტიპის საგანმანათლებლო აქტივობები, მათ შორის: ექსპორტის მენეჯერების სასერთიფიკატო კურსი, სადაც მონაწილეობა მიიღო 68 მონაწილემ და უფასო მასტერკლასების სერია „განავითარე შენი ბიზნესი“ - მასტერკლასებს ესწრებოდა 700-ზე მეტი მონაწილე.

მხარდაჭერის ინსტრუმენტების შემუშავების (ტექნიკური, ფინანსური) ქმედების ფარგლებში, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ, ქვეპროგრამის „ცხოველთა ჯანმრთელობის დაცვა და იდენტიფიკაცია-რეგისტრაცია“ ფარგლებში, მიმდინარეობდა უფასო ვეტერინარული ღონისძიებები (თურქულის საწინააღმდეგო ვაქცინაცია, ცხოველთა იდენტიფიკაცია-რესტავრაცია და სხვა), რითაც ხორციელდება მხარდაჭერა მეცხოველეობის სფეროში დასაქმებული ფერმერებისათვის;

მეწარმე-სუბიექტებისათვის განხორციელდა ტრენინგები, რომლის ფარგლებშიც ექსპორტის მზაობის ტესტი შეავსო 250-ზე მეტმა ბენეფიციარმა.

მესამე პრიორიტეტული ღონისძიება

- მცირე და საშუალო საწარმოთა ექსპორტის სტიმულირება

2018 წელს მიმდინარეობდა აქტიური მუშაობა **პროდუქტების მიხედვით პრიორიტეტული საექსპორტო ბაზრების იდენტიფიცირების მიმართულებით.** განსაზღვრულია 30 პრიორიტეტული საექსპორტო ბაზარი (ევროკავშირის 14 ქვეყანა, 13 აზია-აფრიკის რეგიონის ქვეყანა, თურქეთი, აშშ, კანადა). 2017 წლის შედეგების შესაბამისად, განახლებულ იქნა ანალიზი ამ ქვეყნების სამომხმარებლო ბაზრის იმპორტზე მოთხოვნებთან დაკავშირებით და შესაბამისად, განახლდა იმ პროდუქტების ჩამონათვალი, რომელთათვისაც ეს ბაზრები მიმზიდველ საექსპორტო ბაზრებს წარმოადგენენ. აღნიშნულ ღონისძიებას ახორციელებს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო.

ექსპორტის სტიმულირების მიზნით, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ აქტიურად მიმდინარეობს **საერთაშორისო ბაზრების კვლევა ბაზრის მოთხოვნასა და პრიორიტეტულ პროდუქტებზე ამ ბაზრების მოთხოვნების, მათ შორის ტექნიკური მოთხოვნების იდენტიფიცირების მიზნით.** აღნიშნული ღონისძიების ფარგლებში დასრულდა სამიზნე ქვეყნების წლიური სტატისტიკური ანალიზი (38 ქვეყანა), ასევე, მომზადდა სხვა დანარჩენი მნიშვნელოვანი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნების საიმპორტო ბაზრის ანალიზი. ამასთან, განისაზღვრა

არსებულის განვითარებისა და ახალი პოტენციური საექსპორტო პროდუქციის ჩამონათვალი.

მეწარმეებისთვის ინფორმაციის მიწოდებაზე საექსპორტო ბაზრების მოთხოვნებთან (ტექნიკური მოთხოვნების ჩათვლით) დაკავშირებით, სსიპ „აწარმოე საქართველოში“ სააგენტოს ორგანიზებით მოეწყო შეხვედრები და ტრენინგები, კერძოდ, შეხვედრები ჩატარდა ქუთაისში საფეიქრო ინდუსტრიის წარმომადგენლებთან, რომელსაც დაესწრო 40 მონაწილე; თბილისში შედგა შეხვედრა მოდის დიზაინისა და საფეიქრო ინდუსტრიის წარმომადგენლებთან, აღნიშნულ ღონისძიებას ესწრებოდა 45 ბენეფიციარი; თბილისში - სათამაშოების მწარმოებელ კომპანიებთან შეხვედრაზე მონაწილეობა მიიღო 15 ბენეფიციარმა; აღნიშნული ღონისძიების ფარგლებში ინდივიდუალური კონსულტაციები გაეწია 150-ზე მეტ ბენეფიციარს; ლაგოდეხში შეხვედრა შედგა ადგილობრივ მეწარმეებთან, რომელსაც 60 ბენეფიციარი დაესწრო; თბილისში ჩატარდა ტრენინგი „როგორ გავყიდოთ ევროპაში“, სადაც 70 ბენეფიციარმა მიიღო მონაწილეობა.

პორტალ Tradewithgeorgia-ს პოპულარიზაციის მიზნით გაიმართა პრეზენტაცია საქართველოს რეგიონების 3 ქალაქში: ქ. თელავში, ქ. ზუგდიდსა და ქ. ბათუმში.

საერთაშორისო ბაზრებზე მარკეტინგის და პოპულარიზაციის მხარდაჭერის მიზნით შემუშავდა და მოდიფიკაცია განიცადა ექსპორტის მზაობის ტესტმა, როგორც პროდუქტების, ისე სერვისების მიმართულებით. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ექსპორტის მზაობის ტესტი შეავსო 250-ზე მეტმა ბენეფიციარმა.

შერჩეულ საწარმოებში მარკეტინგის უნარების საჭიროებების იდენტიფიცირების მიზნით, მეწარმეებთან კონსულტაციების შედეგად გამოვლინდა კონკრეტული მარკეტინგული უნარების განვითარების საჭიროება, რის შედეგადაც ჩატარდა ბრენდინგის, საზოგადოებასთან ურთიერთობისა და ინტეგრირებული მარკეტინგული კომუნიკაციებისა და მარკეტინგის მიმართულებით მასტერკლასები. მონაწილეობა მიიღო 240-მდე დაინტერესებულმა პირმა. აღნიშნულ ღონისძიებებს ახორციელებს სსიპ „აწარმოე საქართველოში“.

საერთაშორისო ბაზრებზე პოპულარიზაციისთვის საწარმოებში წარმოებული პროდუქტების/სერვისების იდენტიფიცირების მიზნით მოეწყო ინდივიდუალური შეხვედრა 150 ბენეფიციართან, ხოლო სექტორულ გაფართოებულ შეხვედრაზე მონაწილეობდა 100-ზე მეტი ბენეფიციარი.

მარკეტინგის/პოპულარიზაციის შესაბამისი ინსტრუმენტების შემუშავების მიზნით სსიპ „აწარმოე საქართველოში“ სააგენტოს ინიცირებით მოეწყო საგანმანათლებლო აქტივობები და საინფორმაციო შეხვედრები, აღნიშნულ ღონისძიებებში მონაწილეობა მიიღო 250-მდე ბენეფიციარმა.

შერჩეულ საწარმოებში მარკეტინგის/პოპულარიზაციის უნარების გაუმჯობესებისთვის სსიპ „აწარმოე საქართველოში“ სააგენტოს მიერ ჩატარდა ექსპორტის სასერტიფიკატო კურსი, რომელშიც გათვალისწინებულია მარკეტინგის მოდულები. აღნიშნულ კურსზე მონაწილეობა მიიღო 68 ბენეფიციარმა. ასევე ქვე-ღონისძიების ფარგლებში მოეწყო მასტერკლასების სერია „განავითარე შენი ბიზნესი“, სადაც ჯამურად 700-ზე მეტი ბენეფიციარი იღებდა მონაწილეობას.

კონკრეტული პროდუქტის/მომსახურების ექსპორტის მხარდაჭერისთვის სსიპ „აწარმოე საქართველოში“ სააგენტოს მხარდაჭერით 2018 წლის განმავლობაში 184 ბენეფიციარმა მონაწილეობა მიიღო 23 საერთაშორისო ღონისძიებაში შემდეგი მიმართულებით: საკვები, სასმელი; საფეიქრო ინდუსტრია; სათამაშოების ინდუსტრია; ელექტრონული საქონელი (განათებები); ICT სექტორი; საიუველირო ინდუსტრია; არქიტექტურა და დიზაინი; ბიზნეს კონსულტაცია.

მეოთხე პრიორიტეტული ღონისძიება

- მეწარმეობის მხარდაჭერას საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობების დამყარებაში

საერთაშორისო ურთიერთობების დამყარების თვალსაზრისით სსიპ „აწარმოე საქართველოში“ სააგენტომ განახორციელა 23 საერთაშორისო ღონისძიება და შედეგად, სააგენტოს მიერ ორგანიზებულ და თანადაფინანსებულ საერთაშორისო აქტივობებში მონაწილოება მიიღო 184-მა ბიზნეს სუბიექტმა. ფინანსური თვალსაზრისით მიღწეულია 32 000 000 აშშ დოლარის მოცულობის შეთანხმება ან/და კონტრაქტი.

სსიპ „ინოვაციებისა და ტექნოლოგიების“ სააგენტოს მიერ, მცირე და საშუალო მეწარმეთა უცხოურ ბაზარზე შესვლის ხელშეწყობის მიზნით, 2018 წელს გაფორმდა 5 მემორანდუმი შემდეგ ორგანიზაციებთან: კორეის ტექნოპარკების გაერთიანება (კორეა), ფრანკ ჯგუფი (ისრაელი), მინსკის ქალაქის ტექნოპარკი (ბელარუსი), ტექნოლოგიური მეწარმეობის გაერთიანება (პოლონეთი), ბაქოს ბიზნეს ქარხანა (აზერბაიჯანი).

მიმდინარე წელს აქტიურად განხორციელდა EEN-ში **მეწარმეთა ეფექტური მონაწილეობის ხელშეწყობა**. სსიპ „აწარმოე საქართველოში“ ხელშეწყობით ევროპის მეწარმეთა ქსელის პლატფორმაზე (EEN) განთავსდა 8 ქართული კომპანიის ბიზნეს შეთავაზება.

სსიპ „ინოვაციებისა და ტექნოლოგიების“ სააგენტოს მიერ პლათფორმაზე დარეგისტრირებულია 1 ქართული კომპანიის პროფილი - „A Georgian manufacturer of LED lighting solutions is looking for agents, distributors and wholesalers“ - POD Reference: BOGE20170627002.

აღნიშნული ღონისძიების ფარგლებში, ევროპის მეწარმეთა ქსელში ქართველი მეწარმეების ჩართულობის ხელშესაწყობად, საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატამ განახორციელა შემდეგი ღონისძიებები: 1. მეწარმეებთან გაიმართა სამი რეგიონული შეხვედრა: რუსთავი, თელავი, გორი, 2. ქართულ ენაზე მომზადდა 20 აპლიკაცია, რომლებიდანაც EEN-ს ქსელში განსათავსებლად გაიგზავნა 6 აპლიკაცია. აღსანიშნავია, რომ საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატა აქტიურად ახორციელებს **საზღვარგარეთ დაგეგმილ გამოფენებთან დაკავშირებით მეწარმეთა ინფორმირებას,** როგორც ელ-ფოსტით, ასევე, სხვა ონლაინ სერვისების, მათ შორის პალატის ვებ-გვერდზე ინფორმაციის განთავსებით. 2018 წლის განმავლობაში პალატის მიერ ქართველ მეწარმეებს მიეწოდათ ინფორმაცია 54 საერთაშორისო გამოფენას/ფორუმში მონაწილეობის შესახებ.

საერთაშორისო ღონისძიებებში სტარტაპების მონაწილეობის ხელშეწყობის მიზნით სსიპ „ინოვაციების და ტექნოლოგიების“ სააგენტომ, 5000 ლარამდე მცირე საგრანტო პროგრამის ფარგლებში, სულ დააფინანსა 14 სტარტაპი საერთაშორისო ღონისძიებაზე მონაწილეობის მიღების მიზნით. ქართველი სტარტაპები მონაწილეობას იღებენ საერთაშორისო აქსელერატორში/ინკუბატორში (სტარტაპი - ფაფუ, Optio AI, Treepex). ასევე, ქართველმა სტარტაპებმა მონაწილეობა მიიღეს შემდეგ საერთაშორისო ღონისძიებებში: 2018 წლის 10-14 ოქტომბერს ფარნკფურტის წიგნის ბაზრობა; 2018 წლის 5-9 ნოემბერს ქ. ლისაბონში ვებ სამიტში მონაწილეობა და ა.შ.

2018 წლის 7 ნოემბერს ჩინეთში ქ. შანხაიში ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოსა და BGTA (Chinese corporate-backed accelerator)-ს შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა, მემორანდუმის მიხედვით, ქართველი სტარტაპებისთვის შანხაიში BGTA აქსელერატორში გამოიყო უფასო სამუშაო სივრცე.

სსიპ „აწარმოე საქართველოში“ სააგენტოს მიერ **იდენტიფიცირებულია კომერციულად მიმზიდველი** 4 სამეწარმეო სექტორი: სათამაშოები; ავეჯი; ფეხსაცმელი, ჩანთები და აქსესუარები; საბავშვო ტანსაცმელი.

ღონისძიების ფარგლებში განისაზღვრა **იდენტიფიცირებული სექტორების განვითარებაზე ორიენტირებული კვლევის მომზადება**. ამ მიზნით სსიპ „აწარმოე საქართველოში“ სააგენტოს მიერ განხორციელდა ფეხსაცმლის, ჩანთებისა და აქსესუარების საქართველოში წარმოების პოტენციალის კვლევა. ასევე, 2018 წელს სსიპ „აწარმოე საქართველოში“ სააგენტოს მიერ განხორციელდა საქართველოში ავტო-ნაწილების წარმოების პოტენციალის და საქართველოში BPO (ბიზნეს პროცესების აუთსორსინგ) სექტორის განვითარების პოტენციალის კვლევები.

მეხუთე პრიორიტეტული ღონისძიება

- ბიზნესის პასუხისმგებლიანი ქცევის (RBC) პოპულარიზაცია

ბიზნესის პასუხისმგებლიანი ქცევის (RBC) სამეწარმეო სექტორში პოპულარიზაციის მიზნით, მიმდინარე წელს სსიპ „აწარმოე საქართველოში“ სააგენტოსა და სამოქალაქო განვითარების საზოგადოებას (CIDA) შორის გაფორმდა ურთიერთ-თანამშრომლობის მემორანდუმი. აღნიშნული მემორანდუმის გაფორმება მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს სამეწარმეო სექტორში RBC-ს პოპულარიზაციას.

ზემო აღნიშნული ღონისძიების ფარგლებში სსიპ ,,აწარმოე საქართველოში“ სააგენტოს სახელმწიფო პროგრამის ,,აწარმოე საქართველოში“ 30 ბენეფიციარი კომპანიის წარმომადგენლმა მონაწილეობა მიიღო **გაეროს გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელისა და კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის კლუბის შეხვედრებში და ტრენინგებში**.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს პარტნიორობით საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრმა (CSRDG) ევროკავშირის მხარდაჭერით 2018 წელს დააფუძნა კორპორაციული სოციალური პასუხიმგებლობის საუკეთესო ინიციატივების ყოველწლიური კონკურსი - საქართველოს პასუხისმგებლიანი ბიზნესის კონკურსი **Meliora** (რაც ლათინურად „საუკეთესოს“ ნიშნავს).

კონკურსში მონაწილეობა მიიღო 41 კომპანიამ 76 განხორციელებული პროექტით. . კონკურსში წარდგენილი პროექტები, წამყვანმა უცხოელმა და ქართველმა ექსპერტებმა შეაფასეს და მათ შორის ყველაზე პასუხისმგებლიანი და სამაგალითო პროექტები გამოავლინეს. გამარჯვებულთა დაჯილდოების ცერემონიალი შედგა 2018 წლის 13 დეკემბერს.

მეექვსე პრიორიტეტული ღონისძიება

- უცხოელ ინვესტორებსა და მცირე და საშუალო საწარმოებს შორის კავშირების დამყარების მხარდაჭერა (FDI-SMEs linkages)

2018 წლის საანგარიშო პერიოდში, ინფორმაციის შეგროვების მიზნით, პირდაპირი უცხოური ინვესტიციებით შექმნილ საწარმოებსა და მულტინაციონალური ბრენდის სასტუმროებზე, მათ მიერ **საქონლის/მომსახურების მოთხოვნასთან** დაკავშირებით, ჩატარდა კვლევა FDI-SME Linkages-ის პროექტის პირველ ფაზაში. კვლევაში

გამოკვეთილი მოთხოვნა-მიწოდების საფუძველზე კი შეირჩა საპილოტე ფაზის ინდუსტრია და ქართული და უცხოური კომპანიები, რომლებიც ჩაერთვებიან დაკავშირების პროექტში.

FDI-SME Linkages-ის პროექტთან დაკავშირებული კვლევის საფუძველზე, მოხდა იმ **მცირე და საშუალო კომპანიების იდენტიფიცირება, რომლებსაც აქვთ პოტენციალი გახდენენ საქონლისა და მომსახურების მიმწოდებლები უცხოელ პარტნიორ ორგანიზაციებთან**. 14 ადგილობრივ კომპანიას ჩაუტარდა ტრეინინგ პროგრამები. ასევე, 25 საერთაშორისო ბრენდის კომპანიას გაეწია კონსულტაცია და მოხდა მათი ინფორმირება ადგილობრივი მცირე და საშუალო კომპანიების მომსახურებისა და საქონლის მიწოდების პოტენციალზე.

უცხოელ ინვესტორთა და მცირე და საშუალო საწარმოთა (SME-MNC) ურთიერთდაკავშირების ხელშეწყობის მიზნით ჩატარდა შესაბამისი ღონისძიებები.

აღნიშნულ ღონისძიებებს ახორციელებს სსიპ „აწარმოე საქართველოში“.

მონიტორინგისა და შეფასების შედეგები

მეოთხე სტრატეგიული მიმართულება მოიცავს 2018 წელს განსახორციელებელ 6 პრიორიტეტს და 33 ქმედებას, რომლებიც სრულად შესრულებულია.
2018 წლის პირველ ნახევარში შესრულდა მეოთხე სტრატეგიული მიმართულების შესაბამისი „შესრულების ინდიკატორები“, კერძოდ:

- ✓ გაფორმდა მემორანდუმი EPRC-თან;
- ✓ ჩატარდა აქტივობები ბენეფიციარებისთვის DCFTA-ის პერსპექტივების და მოთხოვნების შესახებ ცნობიერების ამაღლების მიზნით;
- ✓ ჩატარდა კონსულტაციები მეწარმეებისთვის DCFTA მოთხოვნებთან დაკავშირებით;
- ✓ DCFTA მოთხოვნებთან ადაპტაციის კუთხით მხარდაჭერილ იქნა 250-ზე მეტი ბენეფიციარი;
- ✓ მეტროლოგიის სფეროში გაფართოვდა საერთაშორისო დონეზე აღიარებული სერვისების დიაპაზონი და დაემატა ახალი მიმართულებები - გეომეტრია (სიგრძის გაზომვები), მასა და მასთან დაკავშირებული სიდიდეები (მასა, მცირე მოცულობა, წნევა), ტემპერატურა და ტენიანობა, ელექტროგაზომვები, მაიონიზებელი გამოსხივება, რაც ქართული პროდუქციის კონკურენტუნარიანობის ამაღლებასა და საერთაშორისო/ევროპულ ბაზრებზე შეღწევას შეუწყობს ხელს;
- ✓ კომპანიებმა დაამყარეს საერთაშორისო ურთიერთობები;

- ✓ EEN-ის პლატფორმაზე ქართული კომპანიების პროფილი დარეგისტრირდა;
- ✓ ბიზნესის პასუხისმგებლიანი ქცევის (RBC) სამეწარმეო სექტორში პოპულარიზაციის მიზნით ორგანიზაცია CIDA-სთან გაფორმდა მემორანდუმი;
- ✓ უცხოელ პოტენციურ ინვესტორ კომპანიებს გაეწიათ კონსულტაცია ადგილობრივ მცირე და საშუალო კომპანიებთან პარტნიორობის და მათ მიერ საქონლის/მომსახურების მიწოდების არსებული პოტენციალის თაობაზე.

V.მეხუთე სტრატეგიული მიმართულება: ინოვაციების და კვლევისა და განვითარების (R&D) მხარდაჭერა

პირველი პრიორიტეტული ღონისძიება

- **მცირე და საშუალო საწარმოებში ინოვაციების სტიმულირება**

აღნიშნული პრიორიტეტული ღონისძიება განხორციელდა საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს მიერ. 2018 წელს ჩატარდა ინოვაციური ბიზნეს-უნარების განვითარებისთვის ტრენინგები საქართველოს 6 რეგიონში. **ცნობიერების ასამაღლებელი ტრენინგების** ფარგლებში სააგენტოს მიერ შეიქმნა სახელმძღვანელო "გზამკვლევი ციფრულ სამყაროში" მცირე და საშუალო მეწარმეებისთვის, რომელიც უსასყიდლოდ გადაეცათ ტრენინგის მონაწილეებს. გარდა ამისა, 200-მდე ადგილობრივ მეწარმეს გაეწია ინდივიდუალური კონსულტაციები ელექტრონული კომერციის შესაძლებლობების ათვისების მიზნით.

მსოფლიო ბანკის ***ინოვაციების აგენტის*** პროექტის ფარგლებში განხორციელდა **საწარმოებში ინოვაციური პროცესების დიაგნოსტიკა ინოვაციების სტიმულირების მიზნით**. აღნიშნული პროექტის ფარგლებში დატრენინგდა 5 აგენტი, გადაეცათ მეთოდოლოგია და ფორმები, რომელთაც 70-ზე მეტ კომპანიას რეგიონში ჩაუტარეს დიაგნოსტიკა, რომლის შემდგომაც შეიმუშავეს რეკომენდაციები მეწარმეების ინოვაციების და კვლევა/განვითარების წახალისების მიზნით.

მეორე პრიორიტეტული ღონისძიება

ინოვაციების და R&D დაფინანსების ეფექტიანი სქემების შემუშავება

ინოვაციების და R&D-ს **დაფინანსების ეფექტიანი სქემების** შემუშავების მიზნით, 5000 ლარამდე მცირე საგრანტო პროგრამის ფარგლებში, საანგარიშო პერიოდში, სულ შემოსულია 299 საპროექტო განაცხადი. პროგრამის ფარგლებში, სულ დაფინანსდა 98 პროექტი, მათ შორის, პროტოტიპირება - 19 პროექტი; ღონისძიების ორგანიზება - 28 პროექტი; სამგზავრო - 51 პროექტი. ბიუჯეტმა სულ 360,318ლარი შეადგინა. თანადაფინანსების გრანტების ფარგლებში, გამარჯვებული 17 სტარტაპიდან ხელშეკრულება უკვე გაფორმდა 17 სტარტაპთან, ჯამში დაფინანსების თანხამ შეადგინა 1,631,986.12 ლარი. ღონისძიებებს ახორციელებს საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო.

მესამე პრიორიტეტული ღონისძიება

- ### ინოვაციების და R&D-ს კომერციალიზაციის მხარდაჭერა

ინოვაციების და R&D-ს კომერციალიზაციის მხარდაჭერის მიზნით სსიპ საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს მიერ განხორციელდა შესაბამისი აქტივობები. კერძოდ, საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს მიერ მსოფლიო ბანკის (GENIE) პროექტის მე-2 კომპონენტის (Innovation services-ის) ფარგლებში **შემუშავდა ტექნოლოგიების გადაცემის ეროვნული ცენტრის კონცეფცია**.

მეოთხე პრიორიტეტული ღონისძიება

- ### მეწარმეობაში საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების (ICT) გამოყენების უნარების გაუმჯობესება

საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს მიერ ჩატარდა ერთ დღიანი ტრენინგები ციფრულ წიგნიერებაში და ელექტრონულ ბიზნესში, რომელსაც დაესწრო 500-მდე მეწარმე და ყველას გადაეცა ელექტრონული კომერციის ტრენინგ კურსის უფასო ვაუჩერი. აღნიშნულთან მიმართებით დაგეგმილია სრული ტრენინგ კურსის ჩატარება.

ზუგდიდში, რუხში, ბაღდათში, ხარაგაულში, გორში, კასპსა და ჭოპორტში ტარდება კურსი "როგორ შევქმნათ ვებ საიტი მარტივად," რომელსაც 100-მდე ბენეფიციარი ჰყავს.

მეხუთე პრიორიტეტული ღონისძიება

- ინოვაციებისთვის საჭირო ინფრასტრუქტურის უზრუნველყოფა (ტექნოპარკები, ინოვაციების ცენტრები, FabLabები; iLabები)

აღნიშნული ღონისძიება ითვალისწინებს **რეგიონებში ტექნოპარკებისა და ინოვაციების ცენტრების შექმნასა და ფუნქციონირებას**. საანგარიშო პერიოდში გაიხსნა რუხის და ახმეტის ინოვაციების ცენტრები და თელავის ტექნოპარკი.

ინოვაციებისთვის საჭირო ინფრასტრუქტურის უზრუნველყოფის მიზნით ხორციელდება **რეგიონების დაფარვა მაღალსიჩქარიანი ოპტიკურ-ბოჭკოვანი მაგისტრალური ინფრასტრუქტურით**. კერძოდ, თუშეთის 24 სოფელსა და 4 ხეობაში ინტერნეტი უკვე ხელმისაწვდომია, რითაც თუშეთის მოსახლეობას, მეწარმეებს, ტურისტებს შესაძლებლობა აქვთ ისარგებლონ თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით, საჯარო და კერძო სექტორში დანერგილი მრავალი ელექტრონული მომსახურებებით. აღიშნული განსაკუთრებით უწყობს ხელს თუშეთის ტურისტული პოტენციალის ზრდას, რომლის საშუალებით თუშეთის მეწარმეებმა უკვე დაიწყეს თავიანთი სერვისების ონლაინ პლატფორმებზე განთავსება.

ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს ხელშეწყობით ჩატარდა უფასო ტრენინგები ელექტრონულ ბიზნესში, ხოლო წარმატებულ კურსდამთავრებულებს გადაეცა ინტერნეტში ჩართვის უფასო ვაუჩერები.

მონიტორინგისა და შეფასების შედეგები

მეხუთე სტრატეგიული მიმართულება მოიცავს 5 პრიორიტეტს და 7 ქმედებას, რომელიც განხორციელდა დაგეგმილი ქმედებების ფარგლებში.

2018 წლის პირველ ნახევარში შესრულდა მეხუთე სტრატეგიული მიმართულების შესაბამისი „შესრულების ინდიკატორები“, კერძოდ:

- ✓ ჩატარდა ღონისძიებები ტრადიციულ ინდუსტრიებში ინოვაციების პოპულარიზაციის მიზნით;
- ✓ განხორციელდა საწარმოებში ინოვაციური პროცესების დიაგნოსტიკა;
- ✓ განხორციელდა დაფინანსების სქემების ფორმირება;
- ✓ შემუშავდა ეროვნული ტექნოლოგიური გადაცემის ცენტრის კონცეფცია;
- ✓ ელექტრონულ ბიზნესში დატრენინგდა 500-მდე მეწარმე;
- ✓ ელექტრონული კომერციის საერთაშორისო პლატფორმებზე დარეგისტრირდა 200-მდე მეწარმე;
- ✓ შეიქმნა ინოვაციების ცენტრები და ჰაბი.

სამოქმედო გეგმით 2018 წლისთვის ნაკისრი ვალდებულებების შესრულება

წინამდებარე სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში წარმოადგენს, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ცენტრალური აპარატის და სამინისტროს სისტემაში შემავალი უწყებების, ასევე სამოქმედო გეგმით კონკრეტულ აქტივობათა განმახორციელებელ უწყებათა მუშაობის შედეგად, შესაბამისი აქტივობების შესრულებას **2018 წლის მდგომარეობით.**

ანგარიში შემუშავებულია ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ეკონომიკური პოლიტიკის დეპარტამენტის მიერ, სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული პასუხისმგებელი უწყებების/დეპარტამენტების მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე.

დასკვნა

ცხადია ის განსაკუთრებული მნიშვნელობა, რაც 2016-2020 წლების მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგიის და შესაბამისი სამოქმედო გეგმის შემუშავებას გააჩნია მეწარმეობის შემდგომი განვითარების თვალსაზრისით, რამდენადაც მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგიის ეფექტიანი განხორციელება ხელს შეუწყობს მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებას, ზრდას და მისი კონკურენტუნარიანობის ამაღლებას, რაც მნიშვნელოვანია როგორც დასაქმების ზრდისა და ახალი სამუშაო ადგილების შექმნისთვის, ასევე, ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზრებზე ადგილის დამკვიდრებისთვის.

საყურადღებოა, რომ მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგიის ეფექტიანი იმპლემენტაციის მიზნები *(2020 წლისთვის მცირე და საშუალო საწარმოების გამოშვების ზრდა წლიურად საშუალოდ 10%-ით; 2020 წლისთვის მცირე და საშუალო საწარმოებში დასაქმებულთა ზრდა 15%-ით; 2020 წლისთვის მწარმოებლურობის ზრდა 7%-ით, (საბაზისო - 2013 წელი)),* „საქსტატის“ მონაცემების თანახმად, ამ ეტაპისთვის **წარმატებით სრულდება.** კერძოდ,

- ✓ 2014-2017 წლებში მცირე და საშუალო საწარმოების გამოშვების საშუალო წლიური ზრდა 14.4%-ია;
- ✓ 2017 წ. მცირე და საშუალო საწარმოებში დასაქმებულთა ზრდა 27.4%-ია.
- ✓ 2017 წ. მწარმოებლურობის ზრდამ 11.1% შეადგინა.

აღსანიშნავია ისიც, რომ **2018 წლის 19 ნოემბერს OECD-ის ევრაზიის კვირეულის** ფარგლებში ჩატარებული ევრაზიის კონკურენტუნარიანობის პროგრამის მრგვალი

მაგიდის ფორმატში, OECD-ის მიერ **საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგიის შესრულება მაღალ დონეზე შეფასდა.**

საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში, მცირე და საშუალო საწარმოები ეკონომიკური ზრდისა და დასაქმების ძირითად წყაროს წარმოადგენს. საქართველოშიც მცირე და საშუალო ზომის საწარმოებს მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ ქვეყნის ეკონომიკურ ზრდასა და განვითარებაში და ამ მხრივ, ბოლო წლების დინამიკა ზრდის დადებითი ტენდენციით ხასიათდება. კერძოდ, 2017 წელს მცირე და საშუალო საწარმოთა დამატებულმა ღირებულებამ ბიზნეს სექტორის მთლიანი დამატებული ღირებულების 62% შეადგინა, 2018 წლის სამი კვარტლის მონაცემებით მცირე და საშუალო საწარმოთა ბრუნვამ მთლიანი ბრუნვის 55% შეადგინა, გამოშვებამ საწარმოთა მთლიანი გამოშვების - 59%, ხოლო დასაქმებულთა რაოდენობა 2018 წლის მესამე კვარტალში მთლიან დასაქმებულთა 63%-ს გაუტოლდა.







რეკომენდაციები

- 2016-2020 წლების საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგიის 2018-2020 წლების სამოქმედო გეგმაში საჭიროა ბიუჯეტირების კუთხით უფრო მეტად იქნას დაზუსტება დონორთა დახმარების საჭიროებასთან მიმართებით;
- მართებულია სამოქმედო გეგმა მოიცავდეს ინფორმაციას შესაძლო რისკების თაობაზე სამოქმედო გეგმით განსაზღვრულ ქმედებათა და პრიორიტეტულ ღონისძიებათა განხორციელებასთან მიმართებით;

განხორციელდეს სტრატეგიით განსაზღვრული მისაღწევი სამიზნე მაჩვენებლების შეფასება და საჭიროების შემთხვევაში მოხდეს მათი კორექტირება.